

დეკემბერი

1937 წ.

№ 141

დემოკრატიული საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

DECEMBRE

1937 - № 141

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.



ს ი შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი

(1876 წ. 20 აქტომ. — 1937 წ. 13 დეკემ.)

ს ი მ ო ს მ ღ ი ვ ა ნ ი

დავკარგეთ თავდადებული მებრძოლი, უმწიკველი პატრიოტი, ჩვენი სიმონი. უღმობელმა სიკვდილმა გადასურა მისი მაჯის ცემა; დაადუმა მისი ბავენი, სამუდამოდ განშორდა ჩვენს რიგებს კაცი შეუდრეკელი, ბრძოლაში გაუტყეხელი, მუდამ მომქმედი და მუდამ ახალგაზდა.

სიმონი ქართველ მოღვაწის დასრულებული ტიპი იყო. მუდამ საზოგადო საქმეზე მზრუნაველი, სამშობლოს ბედზე მოდარდე, მისი ბედით თუ უბედობით მსუნთქავი. ჯერ კიდევ ახალგაზდა, ადვისის უნივერსიტეტის სტუდენტი, იგი სახალხო მოძრაობაში ჩაება; ხალხის ჭირ-ვარამს თავისი ბედი და მომავალი დაუკავშირა. და მით რუსეთის თვითმპყრობელობის რისხვა და სუსხი დაიმსახურა. იგი ამ დროს საქ. სოც.-ფედ. პარტიის უკვე თვალსაჩინო წევრია.

უმალესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სამშობლოში ბრუნდება, აქ პოლიტიკურ ბრძოლაში ებმება, ხალხთან დგება და მის წინამძღოლთა შორის სათანადო ადგილს იჭერს.

ეს ის ხანაა, როდესაც სახალხო მოძრაობაზევით იწვევს, მძევინვარე ტალღად გორდება და რუსეთის მეფის ტახტს წალეკვით ემუქრება. სიმონიც იქ არის, სადაც ხალხია, სადაც მისი მაჯის ცემა ისმის.

1905 წლის რევოლუცია მარცხდება; ყოველგან, ყველა სფეროში რეაქცია მეფდება. თითქმის ყველაფერი გათავდა; ხალხი და მისი უფლება სამუდამოდ დაიბოროტა. ჯალათის დრო დადგა. ქვეყანა შავზნელ რეაქციის სუდარაში გაეხვია. საზოგადო საქმიანობა საშიში და სასიფათოა, იგი თავდადებას ითხოვს და აი სიმონიც ბათუმში საზოგადო დაწესებულების, ქართული ზანკის სათავეში დგება და ხალხის გათელილ უფლებათა დასაცავად საშვალელებს ეძებს. მუდამ მაძიებელი, დაუდგრომელი სიმონი კალამს იმარჯვებს და ყოველ-დღიურ განეთს რედაქტორობს. სადაც ხმალი არა სჭრის, იქ კალამი უნდა იღესო—აი მისი დევიზი. ამ ახალ პირობებში სიმონი იგივეა—გაუტყეხელი და ოპტიმისტი. მას სწამს—ხალხის სიმართლე გაიმარჯვებს. სასიკვდილოდ დაჭრილი საქართველო აღსდგება, «ჯაჭვებს დაგლეჯს» და თავისუფლებას დაიმკვიდრებს.

და აი, ჩამოირყვა 1917 წლის რევოლუციის ხარი. რუსეთის სივრცე აბოზობრებულ ხალხთა ტალღებად იქცა. აღსრულდა სიმონის ნატვრა—ქვეყანა განთავისუფლდა. სიმონიც აქ არის, თავისუფლების მიმრქმნელთა გვერდში. ის საქართველოს ეროვნულ ყრილობის თვალსაჩინო წევრი ხდება და ამიერკავკასიის მთლიანობაზე, მის ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე მუშაობს. მაგრამ მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებიან; გარეშე ვითარება ამიერკავკასიის ხანმოკლე ერთობას შლის და ანიაგებს.

შესდგება საქართველოს ეროვნული საბჭო, მერე პარლამენტი, აქაც სიმონი თავის ადგილზეა. ის საქარ-ს პირველი პარლამენტის წევრია, წევრი

მომქმედი და დაუღალავი, მკვერიცხლი და სალი გონების. და, როგორც ასეთი, ის საქართველოს პირველ ელჩად ინიშნება თავისუფალ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან და აქტიური თანამშრომელი ხდება საქართ-ს საგარეო პოლიტიკის.

იკრიბება საქართველოს უზენაესი ორგანო—დამფუძნებელი კრება—და აქ სიმონი იჭერს ღირსეულ ადგილს, ადგილს მისი მაღალ თვისების შესადარს. ის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგია, ყველასადმი ლოიალური, დარბაისელი. მდბალი და თავზიანი. ამ დროს ის უკვე ცნობილი პოლიტიკოსი და დიპლომატია. რესპუბლიკის მთავრობაც არჩევანს მასზე აჩერებს. ის ინიშნება თურქეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად; მას ისტორიული დავალება აქვს; მან უნდა მიუტანოს ქემალის მთავრობას საქართველოსაგან ცნობის ფირმანი. ის პირველი ელჩია ელჩებს შორის, რომელიც საქარიის ველებზე ახალ ოსმალეთს თავისუფლებას ულოცავს და საქართველოსაგან მის ცნობას უხარობლებს. და ამით, განსვენებული, სამარხთანადაც ამაყოფა...

დადგა გასაჭირის დღეები. ახლად ფეხადგმულ საქართველოს სისხლიანი თებერვალი დაუდგა მის მიწა-წყალს რუსის ურდოები დაეპატრონენ. სიმონიც საქართველოს მთავრობასთან და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმთან ერთად უცხოეთში გამოიხიზნა. ამ საერთო გასაჭირშიაც ის დარჩა უტყეხი, შეურყეველი. ის ბინავდება სტამბოლში და აქედან, სხვებთან ერთად, ხელმძღვანელობს საქართველოსთან კავშირის საქმეს. ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მშობელი ერის გულისცემას, მის წადილს და მისწრაფებას. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ჯალათები მას აქაც არ უძვენებენ. სტამბოლში დღითი-დღე ძლიერდება მათი გავლენა. მტერს აზინებს სიმონის იქ ყოფნა, მას ძილს უფროსობს მისი საქმიანობა და სიფხიზლე. მასპინძლებიც ირყევიან და სიმონი იძულებული ხდება პარიზში გადმოვიდეს,—ეროვნულ ცენტრში მისი შესაფერისი ადგილი დაიკავოს. აქაც იგივე უტყეხი ნებისყოფა. ის სული და გული ხდება ყველა ახალ წამოწყებების, ახალ კავშირების—ეს არის პარტიათა შორისო, თუ ჩაგრულ ერთა ურთიერთობა. მისი იდეალია რუსეთის ჩაგრულ ერთადკავშირება, უპირველესად, კავკასიის რესპუბლიკების მთლიანობა, მათი მჭიდროდ დარაზმვა. ამ მიზნით ის აქტიური წევრია ყველა გაერთიანების: ვარშაის «პრომეთეს კლუბის», კავკასიის კონფედერაციის საბჭოსი და «ხუთთა მეგობრობის კომიტეტი»-ს (უკრაინა, თურქესტანი, კავკასია).

შეუდბრებელი ტექნიკოსი, საერთო ენის გამონახვის ჭეშმარიტი ოსტატი—ის მუდამ ყურადღების ცენტრშია ყველა ჩაგრულ ერების პოლიტიკურ წრეებში. მას დამსახურებული აქვს ყველას პატივისცემა და სიყვარული. მას უსმენენ და ენდობიან. ამიტომაც მისი ცხედრის წინაშე თავი მოიყარა და შემოკრბენ ჩაგრულ ერთა პასუხისმგებელი წარმოდ-



მადგენელნი. ის სიცოცხლეში გამართიანებელი, გარდაცვალების შემდეგაც ამ ერთობის სიმბოლოდ დარჩა.

ქართველმა ერმა მასში დაკარგა თავდადებული მამულიშვილი, ანთებული პატრიოტი, ნამდვილი ხალხოსანი, მისი ჭირ-ვარამის მონაწილე და გულს მესიადუმლე.

უდიდესია ეს დანაკლისი, განუზომელია ჩვენი მწუხარება, მით უფრო მაშინ როდესაც ტირანიული რუსეთის ტახტი ირყევა; უკმაყოფილების და სიძულვილის ზვირთები აგორდენ და მას წაღვეკით ემუქრებიან; მოსკოვის აღსასრულის დღეები ახლოვდებიან და აი, სწორედ, ამ მოლოდინში განსაკუთრებით მწარეა და მტკივნეული სიმონ მდივანის ჩვენი რიგებიდან გამოკლება, კაცის, მუშაობაში გამობრძმედილის, მტრის და მოყვრის გარჩევაში გამოცდილის.

მრავალფეროვანი და ლამაზი იყო სიმონის სიცოცხლე, აღსავსე სამშობლოს სიყვარულით და თავდადებით. კიდევ ამითვე გაათავა.

უკანასკნელ თვეებში ის მიჯნურის გატაცებით დასტრიალებდა რუსთაველის დღეობის მოწყობის საქმეს. ეს იყო მისი უკანასკნელი თაოსნობაც და დაიფრფლა. ვეღარ გაუძლო ტანჯულმა გულმა ახალგაზდურად ძარღვთა დაჭიმვას. 13 დეკემბერს ის გაიბზარა და სამუდამოდ დაღუპდა. მისი უკანასკნელის ამოძახილი იყო: «შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა». - ამ სიტყვებით მოგვიცოცხდა.

სიცოცხლეში ოპტიმისტი და გაუტეხელი, მოძულე შიშის და დაღრეჯილობის, სიკვდილშიაც უცვლელი დარჩა.

ს. მდივანის გარდაცვალება და დაკრძალვა

სიმონ მდივანი, საქართველოში და აქ უცხოეთში კარგად ცნობილი და ფრიად პატივცემული ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, გარდაიცვალა ს. სემი (Sceaux) პარიზის მახლობლად 13 დეკემბერს ნაშუადღევს სამ საათზე, მცირე ავადმყოფობის შემდეგ.

განსვენებული ბოლო დროსაც ისე, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი ხალისით და ენერგიით მუშაობდა ქართული საქმეებისათვის; განსაკუთრებით მის მთავარს საზრუნავს უკანასკნელ დღეებში შეადგენდა რუსთაველის დღესასწაულის მოწყობა სორბონის უნივერსიტეტში, რასაც ის ახალგაზდური ალტაცებით ეგებებოდა. 9 და 10 დეკემბერსაც მოუსვენრად დადიოდა ამისთვის და მუშაობდა. ხუთშაბათს (9 დეკემ.) საღამოს და მეორე დღესაც ცოტა გულის ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა, ფიქრობდა გაივლიდა. ხოლო პარასკევს ნაშუადღევს გულის კრიზისი მოუვიდა. ოჯახობამ სასწრაფოდ ექიმი გამოიწვია. შაბათს და კვირას საუკეთესო ექიმებისაგან ყოველი ზომა იქმნა მიღებული, მაგრამ გულის ავადმყოფობას ზედ დაერთო ფილტვების ანთება და ორშაბათს 13 დეკ. ნაშუადღევს სამუდამოდ დახუჭა თვალები საყვარელი ცოლშვილის ხელში. უკანასკნელ სუ-

ლის ამოხდომამდე, ერთს წუთსაც არ დაუკარგავს ცნობიერება და მის საწოლთან თავმოყრილ ახლობლებს ელაპარაკებოდა...

სიმონ მდივანის გარდაცვალების ცნობა სისწრაფით გავრცელდა. დაუყრებლივ მოვიდა და პატივი სცა მიცვალებულს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ და მთავრობის სხვა წევრებმა. მოვიდნენ სხვა ქართველები და უცხოელები და ეს დენა პატივისმცემელთა გაგრძელდა რამდენიმე დღეს.

16 დეკემბერს განსვენებულის ბინაზე გარდასდილ იქმნა პანაშვიდი აუარებელი საზოგადოების თანადასწრებით. ნაშუადღევს მიცვალებულის კუბო გვირგვინებით შემკული ახლო მეგობრების თანხლებით წაასვენეს სოფ. ლევილში და იქ დააბინავეს სასაფლაოს აკლდამაში.

დასაფლავება მინდა შაბათს 18 დეკემბერს. იშვიათად უნახავს ლევილის სასაფლაოს ამდენი ხალხის თავის მოყრა. მოვიდნენ ქართველები ყოველი ადგილიდან, განურჩევლად რწმენისა და მისართულებისა, მოვიდა მიცვალებულისთვის უკანასკნელი პატივის საცემად ყველა, ვისაც უყვარს საქართველო და აფასებს მშობელი ერის ერთგულს შვილს და მოამაგეს: ეროვნ. მთავრობა მთელი შემადგენლობით, ეროვნ. ცენტრის წევრები, კალონის თავმჯდომარე, ყველა პოლიტ. დაჯგუფების ხელმძღვანელები, ურიცხვი სხვა. მოვიდნენ მრავლად კავკასიელები—სომხები, აზერბაიჯანელები, მთიელები; იყვნენ წარმომადგენელნი უკრაინელების და თურქისტანლების; ყველა მათგანი პირადად იცნობდა ს. მდივანს და დიდად აფასებდა მის მოღვაწეობას. პატივი სცეს განსვენებულს პოლონელ და ფრანგმა მეგობრებმა.

ორ საათზე მთლად ერთიან ძვირფას გვირგვინებით მორთულ და დაფარულ კუბოს წინაშე პანაშვიდი გადაიხადა უკრაინელმა მღვდელმა, რომელმაც შემდეგ მსურველად სიტყვაში აღნიშნა ის დიდი მწუხარება, რომელსაც განიცდის ქართველობა ს. მდივანის დაკარგვის გამო, და ხაზი გაუსვა ქართველთა და უკრაინელთა თანამშრომლობის მნიშვნელობას ეროვნულ განთავისუფლებისათვის.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: აკ. ჩხენკელმა მთავრობისა და ცენტრის სახელით, ს. ფირცხალავამ, ნ. ურუშაძემ (სოც.-ფედ. სახელით), მირიაკუბმა (კავკასიის საბჭოს სახელით), კ. ქავთარაძემ (საქ. პოლიტ. პარტიათა გაერთიანებ. კოლეგისაგან), ა. მუხლიანმა (კავკასიის და უკრაინის მეგობრობის კომ.), ატამ ალიბეგოვმა (აზერბაიჯ.), ა. ხატისოვმა (სომხეთი) და ვ. ლამბაშიძემ (ქართველთა ასოციაცია).

დასასრულ დამკრძალავ კომისიის წევრმა ს. მენაღარმა წაიკითხა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან მიღებული დეპეშები, რომლებიც მიიღო განსვენებულის ოჯახობამ და ერ. მთავრობის თავმჯდომარემ: ვარშავის «პრომეთეს» კლუბის თავმჯდომარის პ. როფ. სმალ-სტოცკის, «სევ. კავკაზის» რედაქციის ბ. ბაიტუჯანი, მთიელთა ცენტრის (სუნში), აზერბაიჯანის ცენტრის (რასულ ზადე), ვარშავის ქარ-

თველთა საზოგადოების (იმნადე), ბერლინის ქართველთა საზოგადოების (აფხაზი), სოფოს ქართველების, მონპელიეს ქართველების და სხ.

გვირგვინები იყო: ეროვნულ მთავრობის და ცენტრის, კავკასიის საბჭოს, კავკასია-უკრაინის მეგობრობის, აზერბაიჯანის ცენტრის, უკრაინელების, ვარშავის ქართველების, პოლონელ მეგობრობის, სოც.-ფედრ.საზღვარ-გარეთ. ბიუროს, ს. დემ. საზღ. გარეთელ ბიუროს და პარიზის ორგანიზაციის, ეროვ.-დემ. პარტიის საზღ. გარ. ბიუროს და «სამშობლოს», «ორიენტალის» წარმოების, ამხინაგ-მეგობრობის და მრავალი კერძო პირის.

აგ. ჩხენკელის სიტყვა.

ძვირფასო სიმონ, მეგობარო სისიკო!

მე მომანდევს გითხრა, რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვა, საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ცენტრის სახელით, რომელთა რიგებში შენ მუშაობდი თავდაუზოგველად, საფლავის პირამდე, შენი სათაყვანებელ სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაგრამ სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება შენთვის ახალი არ იყო, დედის ძუძუდან თან დაგვყვა. მე მაგონდება ის შორეული დრო, როცა მე და შენ, სისიკო, ჯერ სულ ბავშვნი, შემდეგ ყმაწვილნი და ბოლოს უკვე ასაკში შესულნი, თავიდანვე დამეგობრებულნი ჩვენი მშობლების ოჯახური კავშირით, ერთად დავესტიროდით ჩვენი ქვეყნის მწარე ბედს, ვიგონებდით მის საგმირო წარსულს და ვცდებოდით მის მკვლრებით აღდგომასზე.

ჩვენ არ ვფიქრობდით მაშინ, რომ ამ საოცნებო დროს მოვესწრებოდით, არც იმას, რომ პირადად ჩვენ თვითონ რამე მონაწილეობის მიღება მოგვიხდებოდა თავისუფალ საქართველოს უზენაესობის, ქართველი ერის ნებისყოფის გამომჟღავნება-დამტკიცებრაში. მაგრამ, როგორც კი დაჰკრა ბოროტების მსხვერვის ყაშმა, შენ მყისვე ჩაებნი, სრულიად მომზადებული ამისათვის, ბრძოლის ფერხულში, და გამარჯვების მეორე დღესვე დაიპირე შენი ადგილი აღდგენილ სამშობლოსთვის უანგარო და თავდადებულ სამსახურში. ან კი როგორ შეგვეძლო სხვანაირად შენი წარმოდგენა, ვინც სულ ახლო გიცნობდით და გვიყვარდი?

არაჩვეულებრივ ცოცხალი, მოძრავი, გაუტყნელი, მიმზიდველი, შენ ჩქარა მიიპყარი არა მარტო შენი წრის, არამედ ყველა წრის ყურადღება და გქონდა ბედნიერება საქართველოს უზენაეს დაწესებულების სათავმჯდომარო სავარძელში მჯდარიყავ, ჩვენი დაუვიწყარ კარლოს გვერდით. შენ ამყობდი ამით, გქონდა უფლება გეამყნა, ბევრჯერ გითქვამს ეს ჩემთვის შენებური მადიანი სიცილით. შენ წარმოადგენდი საქართველოს უზენაესობას გარედაც, ჯერ სომხეთში, შემდეგ ოსმალეთში, როგორც შენი ქვეყნის სრულუფლებიანი ელჩი. სომხეთის ელჩი ბ. ჯამალიანიც აქ არის და დასტირის თავის ამხანაგის დაკარგვას.

კიდევ პარასკევს, იმ კვირაში, სწორედ იმ დღეს, როცა შენ, შინ დაბრუნებისას, ლოგინში ჩაწექი და სამ დღეში გაგვეპარე სრულიად მოულოდნელად,

ერთ საათზე მეტს მელაპარაკე გულჩახტობილად იმ ტრადიკულ წუთებზე, რომელიც შენ გამოსცადე ანკარაში, როცა ჩვენს სამშობლოს უსაშინლესი უბედურობა დაატყდა თავზე. მაგრამ ამ მწარე, სევდით სავსე მუსაიფის დროს შენ ვერ მალავდი, არ გინდოდა დაგემალა შენი უსაზღვრო სისხრული და კმაყოფილება, რომ ქართველნი არც ისე უღარდელნი არიან ამ უცხოეთში, რომ არ დაივიწყონ შინაური, წარმავალი უთანხმოება და ერთად არ დაირაზმონ, ერთი პირი არ შეკრან, როცა მათი ქვეყნის მთლიანობას, სახელსა და ღირსებას საიდანმერაიმე ფათურაკი მოელის. ამ დარახმისთვის. ამ ერთი პირის შეკვრისთვის შენ ყველაზე მეტს ეცადე, ყველაზე მეტი ირბინე, და ეს იყო უკანასკნელი აკორდი არა მარტო შენი მოღვაწეობისა, არამედ აგრედვე შენი გულის ცემისა. შენ დავიცი შენს პოსტზედ გმირულად, წარბშეუხრელად.

მე არ შევეუდგები შენს დაულალავ, განუწყვეტელ საქმიანობის აღწერას ჩვენს შორის, აქ თუ სხვაგან. რა საჭიროა, განა ყველა ეს ისედაც თვალწინ არ გვიდგას! მაგრამ მე არ შემძლია არ აღვნიშნო ორი შენი მთავარი თვისება. შენ იყავი გამსუვალული იმ მტკიცე რწმენით, რომ დამფუძნებელ კრების მიერ ნაანდერძევი ქვეყნის უზენაესობა მთელის ძალღონით უნდა იქნეს დაცული უცხოეთში, და შენ, როგორც ერთი მისი თავმჯდომარეთაგანი, მწვავედ გრძობდი ამ დიდ მოვალეობას და ამიტომ ბოლომდის ერთგულად, ურყევად მუშაობდი მთავრობასთან, ვისაც ეს ანდერძი გადაეცა. მეორე შენი თვისება—ეს შენი საანდაზო თავდაბლობა, ხალისი, ოხუნჯობა, იუმორი თვით ძალიან მძიმე, საპასუხმგებლო მუშაობის დროსაც; მაგრამ შენ თითქო იმავე ხალისითა და ოხუნჯობით ასრულებდი უბრალო შავ მუშაობასაც, დარწმუნებული, რომ ხშირად ამ შავი მუშაობისაგან იყო დამოკიდებული დიდი საქმის გაკეთება.

საქართველოს მთავრობა და ეროვნული ცენტრი ვერ შეუურიგდებიან შენს გასვლას მათი რიგებიდან, შენ განსაკუთრებული ადგილი გეჭირა მათ მოღვაწეობაში, შენი ადგილი ცარიელი დარჩება, მას სხვა ვერ დაიჭერს. სისიკო, შენ დაგვტოვე სწორედ მაშინ, როცა სულ ახალი პერსპექტივები, სულ ახალი იმედები ისხნება ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ ყველანი მოწმე ვიყავით, როგორის აღერთვინებით შევკურნებდი, როგორ მოუთმენლად მოელოდი სვალინდელ დღეს, სამშობლოს ტყვეობიდან დახსნის დღეს. შენ ჩვენზე უფრო ოპტიმისტი იყავი, გქამდა ჩქარა, სულ ჩქარა განთავისუფლება, და სწორედ ამ დროს მოგინდა თვალების დახუჭვა! უბედობაც ასეთი უნდა!

მე მინდა, დავალებულიც მაქვს, რამე სანუგეშო გითხრათ, ძვირფასო ქ-ნო ნელი, და თქვენ სისიკოს შვილებო, მაგრამ არ ვიცი, რა გითხრათ, რით განუგეშოთ? ერთი მინიც არ უნდა დაივიწყოთ: სისიკო ჯერ მისმა სამშობლომ დაკარგა, მერმე თქვენ. შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს ბევრი სიწმარე მის საყვარელ ოჯახისა, ის მეტ დროს ქვეყნის სამსახურს ანდომებდა და ბოლოს ხომ კიდევ გადაეყვა მას! მე



მახსოვს, ჩემს ოჯახს ხვდა წილად სისიკოსთვის მისი ერთადერთი ვაჟის დაკარგვის გამხელა, მახსოვს მისი ტირილი, მისი თვალებიდან გადმოდენილი ღვარი ცრემლები, ხოლო ამ ოჯახურმა უბედურებამ კიდევ უფრო გააძლიერა მისი სიყვარული სამშობლოსადმი. თქვენც უნდა ინუგეზოთ სამშობლოს ბედნიერებით, და ეს დრო, სისიკოს სანუკვარ სამშობლოს აღდგომის დღე, შორს არაა.

სანუგეზო და საამაყო კიდევ ისაა, რომ ამდენმა ქართველობამ, მთელმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, დღეს თავი მოიყარა აქ და თვალცრემლიანი ეთხოვება მას. სხვა ქვეყნების, ჩვენი მეზობლების: კავკასიის: აზერბაიჯანის, სომხეთის და მთის; აგრძელებ ჩვენი მოკავშირეთა უკრაინის; თურქისტანის წარმომადგენელნიც ხომ აქ არიან, რომ პატრიოტული საღაპრი უძღვნან მათ თანამებრძოლს, შეუდარებელ ამხანაგს სისიკოს.

და თვით ეს სასაფლაოც, ლევილის სასაფლაო, ტკბილ და სტუმართ მოყვარე საფრანგეთის მიწა-წყალზედ, განა ის არ იქცა ნახევრად ქართველების სასაფლაოდ! რამდენი ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი განისვენებს აქ! მამ სისიკო, ძვირფასო სისიკო, შენ მართლ არ გტოვებთ, ისევ შენთან ვართ ხარ, დაუცდი მოთმინებით იმ დღეს, როცა შენი მშობელი დედა, თავისუფალი საქართველო, გულში ჩავიკრავს.

ს. ფიფქვალაშვილს სიტყვა

ძმაო სისიკო!

შენს უახლობელეს მეგობარს მე შენთვის გამოსათხოვარი სიტყვა უნდა მეტყვა ამხანაგების—იქ საქართველოში სიცოცხლე-გაწამებულების და აქ გარდმხვეწილების—სახელით.

მაგრამ მე ამას ვერ ვახერხებ: მეტად დაახლოვებული ვიყავით ჩვენ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ერთი ჭირი და ერთი ლხინი გვქონდა, ერთად ხელჩაკიდებულნი ვმუშაობდით და ვიბრძოდით. მეტად ცხოველია ჩემი განცდები შენი მოულოდნელი დაკარგვით და მე ვერ უვსძლებ ყველაფერი გითხრა შენ, უთხრა სხვებს.

ერთი უმცროსი ამხანაგი, ერთი შენს ფრთებს ქვეშ გაზრდილთაგანი გეტყვის ამხანაგების გამოსათხოვარს—სიყვარულს, პატივისცემას, მადლობას, დაუვიწყრობას.

მე კი გამოგეთხოვები პირადად, როგორც ერთგული ძმა ერთგულს ძმას. გამდლობ მთელი იმ დაუშრეტელი სითბოსთვის, რომელიც ჩემთვის გქონდა, გამდლობ მეგობრობისათვის, სიყვარულისათვის, იმ გულგაშლილობისათვის, რომლითაც ყოველთვის შემხვედლებდი შენს ტკბილს ოჯახში.

გეთხოვები დაპირებით, რომ შენგან მართლაც დატოვებული უდრეკად გავყვები ჩვენს ზვას და არასოდეს შევლახავ ჩვენს ბრძოლას ჩვენი ერის უფლებისა და ღირსების აღსადგენად.

მშვიდობით, ძმაო, განისვენე ტკბილად, ტკბილად როგორც ეს სურს ყველას, ვისაც აქ თავი მოუყრია შენს პატივსაცემლად.

(სხვა სიტყვები დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში)

სიმონ მდივნის ხსოვნას

რასაც ამბობენ და სწერენ განსვენებულ სიმონ მდივნის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ—იმას მინდა დაუმატო და ვსთქვა განსვენებულის იმ დიდი როლის შესახებაც, რაც მან ქლეკით ავათმყოფთა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობაში ითამაშა.

მან, განსვენებულ დ. შარაშიძესთან ერთად, როგორც წევრმა ამ საზოგადოების ინიციატორთა ჯგუფისა, შემოშუავა მისი წესდება, მიაქცია მან პირველმა დიდი ყურადღება კომიტეტის წევრობის უცვლელობას, რითაც დაწესებულებას დაუფასებელი სამსახური გაუწია. ამ ორგანიზაციას განსვენებული მის უკანასკნელ ჟამადღე უაღრესი ყურადღებით ეყრდობოდა, მის მოღვაწეობაში ცხოველ მონაწილეობას მუდამ იღებდა და გარდაცვალების წინა დღეებში კომიტეტის ახალი წევრების არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო და დაგვიტოვა თავის შემდეგ შრომის უნარიანი ორგანიზაცია.

სამარადისოდ ნეტარ მოსახსენებლად დარჩება განსვენებულ სიმონის სახელი ქლეკით ავათმყოფთა დამხმარე კომიტეტისათვის.

ინა ყვრდანიას.

მადლობის გამოცხადება

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც პირადი დასწრებით თუ წერილობით პატივი სცა ჩვენი დაუვიწყარის ქმრის, მამის და სიმამრის სიმონ მდივნის ხსოვნას; და მით გვანუგეზო მეგობრულად ჩვენს უმძიმეს მწუხარებაში.

ს. მდივნის ქვრივი ნელი (ვლენე), შვილები ირინე, ვლისაბედი, ელენე და ნინო და სიმე თონიკე ლადიძე.

რედაქციამ მიიღო ჩვენი ეროვნულ მთავრობისაგან «დამოუკიდებელი საქართველო»-ში მღვთავსებლად შემდეგი განცხადება:

საჭირო განმარტება

გერმანულ ენაზე გამოცემულ ჟურნალში «Der Kaukasus»-ში (№ 1) დაბეჭდილია გენერ. გ. კვინიტაძის წერილი «მოსკოვი და ტფილისი». ამ წერილს თან ახლავს გაგრძელება, რასაც ხელს არავინ აწერს; იქნება შთაბეჭდილება, რომ ეს გაგრძელება უნდა ეკუთვნოდეს თვით წერილის ავტორს, მაგრამ ასეთი აზრის საბუთიანობა ჩვენ ვერ დავუშვით იმ მოსახრებით, რომ წარმოუდგენლათ მიგვანდა ჩვენი ყოფილი მთავარ-სარდალის მიერ ასე სავეებით დავიწყება ჩვენი უკანასკნელი ომის მთავარი მომენტების და პრესაში მოთხრობა მოვლენების, რასაც სინამდვილეში ადვილი არ ჰქონებია. ამ დამატებაში ნათქვამია, ვითომ საქართველოს მთავრობამ გადასცა ბათომი და ბათომის ოლქი ოსმალეთს და ეს ისე, რომ პასუხისმგებელ მინისტრებს არც კი სცო-



დნით; გარდა ამისა, აქ ნათქვამია აგრედვე, რომ მოსკოვს და საქართველოს შორის ომის განმავლობაში ოსმალეთს ეჭირა საქართველოსადმი «მეტე ვინემ მეგობრული ნეიტრალიტეტი».

აღნიშნულ გერმანულ ჟურნალის შემდეგ გამოვიდა მეშვიდე ნომერი ქართული გამოცემისა «კავკასია»; აქ მოთავსებულია რამდენიმე წერილი სწორედ იმავე საკითხზე, და მათ შორის გენერ. კვინიტაისაც, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ გერმანულ გამოცემის ინფორმაცია თუ არ ეკუთვნის ყოფილ მთავარ სარდალს, ყოველ შემთხვევაში მის მიერ გაზიარებულია.

ყველა ამ წერილებში სხვადასხვა ავტორები აწერენ საქართველოს ეროვნულ მთავრობას ოსმალეთისთვის მიცემას: გერმანულ ჟურნალში — ბათომისას, ქართულში — ართვინის და არტანის მხარეებისას. ყველა ამ ცნობების შესახებ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს ცნობები ყველა ერთად და თითოეული ცალკადაც მოკლებულია ყოველივე ისტორიულ სიმართლეს და გამოგონებულია ახლა, სახელდახელოთ; განსასვლრულ მიზნის მისაღწევათ, სახელდობ: გაამართლონ ჟურნ. «კავკას»-ს მიერ აღებული ხაზი საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობის წინააღმდეგ; ამავე დროს ავტორნი ხელს აფარებენ მოსკოვის მთავრობას, რომელმაც მართლა გასცა საქართველოს ტერიტორია საგანგებო ხელშეკრულებით.

პირველ ყოვლისა, ჩვენ მიგვაჩნია სრულიად დაუშვებლად ასეთი გამოლაშქრება, და განსაკუთრებით ისეთი პასუხისმგებელი პირის მფარველობით და მონაწილეობით, როგორც იყო გენერ. კვინიტაიძე, ზეპირ მოგონებების სახით და ყოველივე ისტორიული საბუთის გარეშე.

ეროვნულმა მთავრობამ ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლიდან 27 მარტის 1921 წლ. თარიღით მიმართა ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებას განსაკუთრებით მოწოდებით, სადაც აღწერილია საქართველოს დაცემის მთელი ამბავი თავიდან ბოლომდის და რასაც ხელს აწერენ ნ. ყორდანია, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და კ. ჩხიძე. ეს მოწოდება მაშინვე დაიბეჭდა ევროპის მრავალ ჟურნალ-გაზეთებში; მაშასადამე, ეს არის იმ დროინდელი ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გაცნობა და წაკითხვა შეეძლო ყველა დაინტერესებულ მხარეს და, მაშასადამე, მათ ეძლეოდათ საშუალება იქ ჩამოთვლილ ფაქტების უარისყოფის; მაგრამ არასოდეს არავითარი გამოლაშქრება ამ მოწოდებაში აღნიშნულ ფაქტების წინააღმდეგ არავისგან ყოფილა. აქ სწერია, სხვათა შორის: «საქართველო იქმნა შემოქალაქული ყოველი მხრიდან რუსის მე-11 არმიის და სხვადასხვა ერთეულების მე-8, მე-9 და მე-13 არმიების, ბუდიონისა და ჟლობის კავალერიის ნაწილების გარდა. ამ დროს ბლოშვიციკებმა მიიღეს ახალი დანმარება საქართველოს გასასრულად. 23 თებერვალს ანგორის მთავრობამ ჩვენ გადმოგვცა უელტიმატუმი, რომლითაც ითხოვდა დაცლას ჩვენი ჯარების მიერ არტანისა და ართვინისას. ვინაიდან ჩვენთვის შეუძლებელი იყო საქმარისი ძალების დაპირდაპირება

ოსმალეთის თავდასხმის წინააღმდეგ ამ ახალ ფრენტზე, ჩვენ იძულებული ვავხდით უკან დაგვეხია ჩვენი ჯარები ამ ქალაქებიდან და ენერგიული პროტესტი გავგვეცხადებია ოსმალეთისთვის ამ მოქმედების წინააღმდეგ».

აქედან ნათელია საქმის მდგომარეობა. ამ ოლქების დაპყრობის წინააღმდეგ აგრედვე განცხადებულია წერილობითი პროტესტი პირიზნი ჩვენი ელჩის ა. ჩხენკელის მიერ ოსმალეთის მაწინდელ საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ბეჟირ-სამიბეისთვის.

ამნაირად, საქართველოს ეროვნულ მთავრობას არასოდეს არავითარი სანქცია არ მიუცია ართვინ-არტანის საქართველოს ტერიტორიიდან ჩამოგლეწათვის.

სინამდვილეში ჩვენი ტერიტორიის ასეთი გაცემა მოახდინა მოსკოვის მთავრობამ 16 მარტს 1921 წლის ხელშეკრულებით, რომელიც დაიდვა მოსკოვში რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ჩვენი ტერიტორიების შესახებ სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ომს ვაწარმოებდით რუსეთის წინააღმდეგ და ეს მოლაპარაკება მათ შორის დამთავრებულა ხელშეკრულებით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ჩვენს ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის ძალით ანგორას ეთმობა სწორეთ ის ტერიტორიები, რომელნიც ოსმალეთმა საქართველოს ჩამოგლიჯა და დღესაც ხელში უჭირავს. ყარის ხელშეკრულებაში ეს მუხლი მხოლოდ სიტყვა სიტყვით არის განმეორებული იმ განსხვავებით, რომ პირველზე ხელი უწერია მოსკოვის მთავრობას (ჩიჩერინი), ყარისისაზე კი — საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლების წარმომადგენლებს (შ. ელიავას და ალ. სვანიძეს).

რაც შეეხება ბათომის გადაცემას, ამაზე ლაპარაკიც ხომ ზადმეტია. აქ ცდა იყო ოსმალეთის წარმომადგენლის მიერ საქართველოს მთავრობისადმი ნოტის მიცემის ბათომის გადაცემის შესახებ მათთვის (17 მარტს 1921 წ.), მაგრამ მთავრობამ ეს ნოტა არ მიიღო და მაშინვე ბრძანება გასცა ბათომის ოსმალებისაგან გასაწმენდათ; ამ ბრძანების თანახმად, და ეს ყველას კარგად ანსოვს, ოსმალების წინააღმდეგ ბათომში აბრძოდენ და ისინი უკუაქციეს სწორედ დამოუკიდებელ საქართველოს ჯარის ნაწილებმა.

საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის

1937 წლის დეკემბრის 4-ს, მიუხედავად სოსილის დარბაზში, პარიზის ქართველთა საზოგადოების კრება შესდგა. კრების დანიშნულება იყო, მოესმინა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება ევრედ წოდებულ სამუსულმანო საქართველოს შესახებ და გაერჩია რუსულ ჟურნალის «კავკას»-ის პოზიცია 1921 წლის ყარის ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ოსმა-



ლეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი: ართვინ-არტან-ოლთის-ბათუმის რაიონები.

ბ. პრაფ. ექვთიმე თაყაიშვილმა თავის მოკლე მოხსენებაში მსმენელთ გააცნო სამხრეთ დასავლეთი საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და პოლიტიკურ-კულტურული წარსული: ეს მხარე ქართულ პოლიტიკურ და ეროვნულ-კულტურულ ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდა და იგი ყოველთვის ქართულ ტერიტორიად ითვლებოდა.

ბ. ექვ. თაყაიშვილმა, მოხსენების შემდეგ, მოუწოდა კრებას, არ გაემწვევებინა და დინჯად გაერჩია აღძრული საკითხი, რომლის შესახებ ილაპარაკეს შემდეგმა პირებმა: ბბ. ივ. ზურაბიშვილმა (საქართველოს სენატორი), კ. ჯავთარაძემ (ყურნალისტი), ალ. ასათიანმა (საქ. დამფუძნებელი კრების წევრი, ქართულ ჟურნალ «სამშობლო»-ს დირექტორი), გ. გვანავამ (დამფ. კრების წევრი, დირექტორი ფრანგულ ჟურნალ «პრომეთე»-სი), ი. ნუცუბიძემ (დამფ. კრების წევრი), ის. მანწკავამ (ყურნალისტი), რაჟ. არსენიძემ (დამფ. კრების წევრი, ყოფ. მინისტრი), ვიკ. ნოზაძემ (დირექტორი ჟურნალისა: «ქართლოსი»), გ. კერესელიძემ (პოლიტიკური მოღვაწე), ექ. გ. ჯაჭიაშვილმა, სვ. მდივანმა (დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი, ყოფილი ელჩი ოსმალეთში). ორატორები შეეხენ ჟურნალ «კავკაზ»-ის პოზიციას, რომლის მიხედვით ბოლშევიკური, ყარსის, ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს ჩვენ მიერ და ბათუმის საკითხიც კვლავ დასმული იქნეს, და უარპყფდენ რა ეროვნული თვალსაზრისით ასეთ პოზიციას, როგორც ყოვლად შეუფერებელს, საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მეტად საზიანოს, ჰგმობდენ «კავკაზ»-ის და მის თანამშრომელთა გამოსვლას. ამასთან ერთად უდავო ფაქტებით უარყოფილ იქმნა «კავკაზ»-ის მიერ თავის გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებული ყალბი ცნობა, თითქოს რუსეთთან ომის დროს ბათუმი საქარ. მთავრობას ოსმალეთისათვის გადაეცეს.

ამით დამთავრდა კამათი და ბ. ექ. თაყაიშვილმა დადლილობისა გამო კრება დასტოვა.

მცირე დასვენების შემდეგ კრება გაგრძელდა ბ. ს. მდივნის თავმჯდომარეობით და ერთხმად იქმნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

«1937 წლის დეკემბრის 4-ს შემდგარი პარიზის ქართველთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება საქართველოს ტერიტორიის საზღვრების თაობაზე, ადგენს:

«კრება აღშფოთებულია ჟურნალ «კავკაზ»-ის და მისი თანამშრომლების მიერ ქართული ტერიტორიის გაცემის მისწრაფებითა და ქადაგებით; მით უმეტეს, რომ ასეთი გაცემა ბ. ბამატის ჟურნალ «კავკაზ» ის ქართველ თანამშრომელთაგანაც გამოდის.

«კრება განსაკუთრებულად მიუღებლად სთვლის იმას, რომ ამ მწერლების აზრით, თითქოს საქართველომ საბოლოოდ უნდა ხელი აიღოს ჩვენს ქვეყანაში შემოსული, მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლების მიერ ყარსის ხელშეკრულებით გაცე-

მულ უდავო ქართულ მიწა-წყალზე, და რომ თვით ამ ხელშეკრულებით საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ბათუმის და მის ოლქსაც ახალი დამამბებისა და საექვო კომბინაციების საგნად აცხადებენ.

«ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს პასუხისმგებელმა ორგანოებმა 1921 წელსავე ენერგიული პროტესტი განაცხადეს ეგრედ წოდებული ყარსის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლითაც საქართველოს ტერიტორია იქმნა გაცემული.

«ბ. ბამატის «კავკაზ»-ში მოკალათებულ ორიადე ქართველ თანამშრომლისაგან საქართველოს მიწა-წყალზე ასე იოლად ხელის აღება გამოწვეულია იმ ყალბი და სრულად მიუღებელი, ვითომდა საქმიანი ხაზით, რომლითაც, ნივთიერი თუ სხვა მოსახრებებით, ქართულ პოლიტიკურ აზრსა და ინტერესებს უქვემდებარებენ საქართველოსათვის საზიანო, უცხო პოლიტიკურ მიზნებსა და ინტერესებს.

«ასეთი პოლიტიკიდან მივიდეთ გაუგონარი და დაუჯერებელი ბოროტება: ცდა ქართული ტერიტორიის გაჩუქებისა და გაყიდვისა.

«კრება მიმართულებათა და დაჯგუფებათა განურჩევლად ერთხმად იმაღლებს ხმას ამ ბოროტების წინააღმდეგ.

«კრება საჯაროდ აცხადებს, რომ ქართველი ერი ერთსულოვნად და ურყევად სდგას თავისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე და არავის მისი დარღვევა-დანაწილების უფლებას არ აძლევს.

«კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდად აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილ-მეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მეგობრული და მშვიდობიანი გზითა და საშუალებით იქნება შესაძლებელი».

ისტორიული დღე

ჟურნალ «კავკაზ»-ის უდიერმა და ცინიკურმა თავდასხმამ ქართველ ერზე ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ემიგრაციაში. ამ აღშფოთების შედეგი იყო ოთხი დეკემბრის საგანგებო კრება პარიზში. აქ თავი მოიყარა ქართველ გადმხვეწილთა დიდმა უმრავლესობამ. კრებას დაესწრა ყველა, განურჩევლად მიმართულებისა, ვისაც ფიქურად ეს შეეძლო. დარბაზი გაჭედილია. კრებას თავმჯდომარეობს ბ. ექვთიმე თაყაიშვილი. მან მოკლე შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სამუსულმანო საქართველოს შესახებ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებ-



მა. ყველა აღმფრთვებული «კავკასიით», მისი ანტი-ქართული კურსით. განსაკუთრებულ აღელვებას იწვევს ქართველების თანამშრომლობა ამ აშკარა ანტიქართულ გამოცემაში. ორატორებს კრება ტანით და ოვაციებით აჯილდოვებს. ყველა ერთი აზრით, ერთი გრძობითაა აღჭურვილი. წვრილმანი უთანხმოება, ერთმანეთის არატანა გაჰქრა. საერთო საერო ინტერესმა, შელახულმა ეროვნულმა თავმოყვარობამ აღამაღლა სული, გააფხიზლა გონება, გააფაქიზა გრძობა და გამთლიანა, გაამხნევა დაქუცმაცებული, დაწვრილმანებული, დახურდავებული ქართველი ემიგრაცია.

ისინი, ვინც გუშინ ერთმანეთს გაუბრბოდნენ, სალამს არ აძლევდნენ, დღეს თბილი გრძობებით ერთმანეთს ეამბოვრებიან. ხშირია პარიზში ქართველთა კრება. თითქმის ყველა კრებას ვესწრები; მაგრამ იმის მზგავსი რამ, რაც ოთხი დეკემბრის კრებაზე ვნახე, არც ერთხელ არ მინახავს. ეს კრება საგანგებო იყო; საგანგებო როგორც თავის საგნით, ისე მისი სულით. აქ გადაიშალა საქართველოს მთელი ისტორია მისი დიდება და წარმატება, მისი დაუძლეულობა და წაბორძიკება. მოყვარეთა მოყვრობა, მტრეთა მტრობა.

ნათქვამია: მტერმოყვარე ჰირში გამოიცნობათ. ეს ჭეშმარიტება ქართველმა ერმა მწარე გამოცდილებით იცის. განსაცდელის უამს იყო შემთხვევები; როდესაც თვისი თვისას არ სცნობდა, თვის ტომობას უარყოფდა, მშობლიურ კერას ებრძოდა, საკუთარ ოჯახს ანგრევედა მტრის სასარგებლოდ და სასიხარულოდ. ასეთი; მართალია, ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც იყვნენ. ისინი შეაჩვენა ისტორიამ, მათი სახელი წყვეა და კრულვით გადადის თაობიდან თაობაში.

დღეს ქართველი ერი წაქცეულია. მოსკოვის მურტალი ხელი კიდევ სჯიჯგნის მის სხეულს. ერი მხნედ, დაუღალავად განაგრძობს თავისუფლებისთვის ბრძოლას. რა ხერხს, რა ღონისძიებას არ მიმართეს მის დასათურგნავად, მაგრამ ამაოდ. ერი ვერ გასტეხეს, ვერ გასტეხეს ვერც მისი პოლიტიკური ემიგრაცია. საიდან არ მოგვიარეს, რა მანინაციები არ მოგვიწყვეს, მაგრამ ჩვენ თვალხილულნი აღმოვჩნდით, მტრის დავედულ მახეში არ გავვით.

უკანასკნელად მოულოდნელად კიდევ თავს დაგვეხენ, ახალი საშუალება გამოჩნახეს ჩვენ დასაქცევად და წასაქცევად. ავგიტეხეს დავა საქართველოს სამხრეთ საზღვრების შესახებ. ჩვენი უდავო მიწა-წყალი მეზობელს მიაკუთვნეს. ამით გამოგვიწყვიეს, ავგალაპარაკეს მაშინ, როდესაც ჩვენ გაჩუმებას ვარჩევდით: სამწუხარო და სავალალო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ მძიმე საქმეში ქართველი ერის მოპირდაპირე ბანაკში ორიოდ ქართველიც ურევია: მოქნეული და მოზომილი შეუძლებელია. და ეს ქართველები, მოექცენ რა ანტიქართულ ორბიტაში, ყოველ ღონეს ხმარობენ, ლელო გაიტანონ და ქართველი ერი ტერიტორიის საკითხში დაამარცხონ. ისინი; რასაკვირველია, მიზანს ვერ მიაღწევენ. თავს კი შეირცხვენენ, ქართული ოჯახიდან თავს გაირიცხავენ.

ქართველი ერის კეთილმეზობლობა ცნობილია. მას არავისთვის არასოდეს არაფერი წაურთმევია და არც აპირობს წართვას. თავისას კი მუდამ თავგანწირვით იცავდა და დაიცავს.

მეზობლებთან კეთილ ურთიერთობას ქართველი ერი უაღრესად აფასებს. ამიტომ სადაო საკითხების მოსაგვარებლად ის ძალას არ მიმართავს. ამისათვის არსებობს კულტურული საშვალეობა-მოლაპარაკება, შეთანხმება—არბიტრაჟი.

ასე ვფიქრობთ მომავლისათვის. დღეს კი, რადგანაც «კავკასმა» საქართველოს მთლიანობის და უზენაესობის საკითხი დაგვისვა, ყოველი ქართველი ვალდებული ხმა ამოიღოს, მისი დამოკიდებულება ამ ანტიქართულ გამოცემისადმი საჯაროთ ნათელყოს.

ოთხი დეკემბერი, უეჭველად, ისტორიული დღეა ქართველ ემიგრაციის ცხოვრებაში. ამ დღეს ქართველმა ემიგრაციამ დაამტკიცა, რომ ის დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე,—სულით მტკიცე, გონებით მახვილი, მშობლიურ კერას მოყვარული, ეროვნულ სუვერენობის ფხიზელი მოდარაჯე, მისთვის თავდამდები.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამავე ნუმერში იბეჭდება.

კრება დასრულდა. სახლში დავბრუნდი მორალურად კმაყოფილი, სიამაყით აღვსილი, რომ საქართველოს ყავს ერთგული შვილები და მტრები მას ვერაფერს დააკლებენ, თუნდაც ორიოდ გზაბნეული ქართველის თახმარებით.

ილია ნუფუბიძე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

«კავკასიის» მეშვიდე ნუმერში დაბეჭდილ 4 დეკემბრის კრების ანგარიშში ნათქვამია, რომ თითქოს ჩვენ კრება უდროოდ დავეტოვეთ; რადგან მან მიიღო უწყესო და არასასურველი ხასიათი.

ეს ცნობა სიმართლეს სრულებით არ შეეფერება. კრება თავიდან ბოლომდის, მიუხედავად სიმხურვალის და სიცხველისა, რაიც ჩვეულებრივია ყოველ ქართულ კრებაზე, —სრულიად წესიერად და უინციოდენტოდ ჩატარდა, და თუმცა თავმჯდომარე დალილი იყო, ჩვენ ვაპირებდით ბოლომდის დარჩენას. მაგრამ ის თავაზიანი ქართველი, რომელმაც პატივი გვცა და სოფლიდან თავის ტაქსით ჩამოგვიყვანა და უკანაც უნდა დავებრუნებით, ავად შეიქმნა (გაცივებული იყო) და თუ ადრე (მერვე საათი იყო უკვე) არ წამოვიდოდით, შემდეგ დაბრუნება გავგიძინებდებოდა.

აი ამიტომ დავეტოვეთ კრება, მით უფრო რომ იგი არსებითად დასრულებული იყო უკვე და რეზოლუციის მიღება უბრალო ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა.

პრ. ექ. თაყაიშვილი.
ს. ფინცსალავა.



სიყალბეთა გასწორებისთვის

რუსული «კავკაზის» ქართულს დუბლიკატში ბამატის ნაწარმოებთა მთარგმნელი და გადამწერელი მართლაც და გაუგონარისა და უტიფარის სიყალბით ასწერენ იმ კრებას, რომელიც ვაიმართა პარიზში 4 ამა დეკემბერს.

1) «კავკასია»-ში ჩამოთვლილია ქართველები, რომელნიც ამ კრებაზე არ იყვნენ. ამის აღნიშვნას რა მნიშვნელობა ექნებოდა, უკეთუ «კავკასია» არ შეეცდებოდა ისეთი შთაბეჭდილების შექმნას მკითხველებში, რომ ეს პირები არ დაესწრენ კრებას, ვინაიდან არ იზიარებდნენ მის მიზანს და მხარს უჭერდნენ ბამატის გეზს. უნდა მოვასხენოთ ამ ვაჟბატონებს, რომ მთელი ქართველობა ვერც ერთს კრებას ვერ ესწრება და ამის მიზეზი ბევრისთვის ჯანმრთელობის საკითხია, ან მოუცლელობის და სხ. ამ შემთხვევაშიდაც მოიპოება უთუოდ ასეთი მიზეზები, ხოლო არც ერთი, რაც ბამატის ჯგუფს აინტერესებთ—მათი მოქმედების დაცვა. ბ. ლამბაშიძეს არ შეეძლოა კრებაზე დასწრება სრულიად უდავო და საპატიო ვარემოების გამო, ხოლო მისი პოზიცია ამ საკითხში არასოდეს ყოფილა «კავკაზის»-სთვის ხელსაყრელი და სასიამოვნო. ესევე ითქმის სხვებზედაც: ყველასი ამათი პოზიცია დასმულ საკითხის შესახებ უკვე კრებამდე იყო სავსებით გარკვეული და გამჟღავნებული წერილობით, თუ საჯარო სიტყვით, და ეს «კავკასია»-მაც უთუოდ კარგად უწყის.

2) კრებაზე გამოცხადდა «რამდენიმე ჩვენი თანამგრძობი»—ესეც სიყალბეა, უკეთუ ეს «ჩვენი თანამგრძობი» გამოსახავს არა პიროვნულ თანაგრძობას, არამედ «კავკაზის» ხაზს. ამ ხაზის დამცველი კრებაზე არავინ აღმოჩენილა. ბ.ნმა კერესელიძემ გარკვეულად განაცხადა, რომ ის არ იზიარებს «კავკაზის» ხაზს, ხოლო «დიპლომატიური» მოსახრებით არა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საგანზე საჯარო მსჯელობა. არც ბ. ჭაჭიაშვილს უკისრნია «კავკაზის» დაცვა. ის შეეცადა ამ ორგანოს დანაშაულის შერბილებას.

3) არ დაესწრენ კრებას ბამატის ყურნალის სამიოდე თანამშრომელი და მხოლოდ ამათი პოზიციის შესახებ შეიძლება იყვის გამოთქმა: მართლა და გულწრფელად იცავენ ბამატის პოზიციას, თუ აქ ადგილი აქვს რაიმე სახის იძულებასა და ძლღობას. ყოველს შემთხვევაში, თვით ამ წრეში ისმოდა წინადასვლები გარკვეულად, რომ ბამატმა მათ დაუკითხავად მოათავსა წერილი საქართველოს ტერიტორიის დარიგების შესახებ, მათ სასტიკი პროტესტი განუცხადეს მას; და მოსთხოვეს, რათა თვითონვე გამოასწოროს საქმე.

4) ეს გამოსწორება ვერ ვნახეთ. ხოლო ბამატის ქართველმა მოხელეებმა «გამოასწორეს» თავისი ხაზი, ბამატის გენერალური ხაზის მიხედვით. როგორც სჩანს, არც ესლა ენერებით საჯაროდ და ქართველობასთან პირის პირ ამის დაცვა და თვითონ ისინი არ მობრძანდნენ 4 დეკემბრის კრებაზე, თუმცა საგანგებო ბარათებით იყვენ მოპატივებულნი. ბამატის გენერალურ ხაზზე დადგომა, რომ ასეთ ქართველებსაც უძნელდებოთ, ამის საბუთია ისიც, რომ

თავის დანაშაულის შემსუბუქებისათვის ათასნაირ ჭორებს სთხზავენ: თურმე საქართველოს მთავრობას და ქართულ პარტიათა პასუხისმგებელ წარმომადგენლებს კიდევ მეტი გაუტიათ, კიდევ მეტი დაუთმიათ წარსულში, ვიდრე ამას სჩადიან ამ ქამად ემიგრაციაში, და არა მტრის ზარბაზნების წინაშე, ბამატის ხელქვეითი მოღვაწენი.

ბამატის თანამშრომლები უარყოფენ და გამობენ მთავრობის ყოველსავე სხვა ნამოქმედარს, სადაც უთუოდ მრავალი იყო არა «მეტის დათმობა», არამედ შეიძლება მეტის მოთხოვნაც, ხოლო მზად არიან მხარი დაუჭირონ მხოლოდ ტერიტორიის დათმობას და გაცემას, და სინამდვილეში თუ ამას არ ჰქონდა ადგილი, ამის შეთხზავს საკმარისად მიიჩნია თავის მძიმე დანაშაულის შემსუბუქებისათვის.

5) ასეთივე სიყალბეა თავიდან ბოლომდე კრებაზე გამოტანილი რეზოლუციის ამბავი. კრებაზე წარდგენილი იყო ორი რეზოლუცია—ერთი კომისიისა და მეორე ბ. არსენიძის. კრებამ უკანასკნელი მიიღო და მისი მხოლოდ რედაქცია დააკისრა ამ ორი რეზოლუციის ავტორებს. რასაკვირველია არც ბ. არსენიძე და არც სხვა ვინმე არ გაქვეყნულა კრებიდან ამ რედაქციის შესრულების დროს არც ორჯერ, და არც ერთჯერ.

ყველა სიყალბეებს აქ ჩვენ ვერ ჩამოვსთვლით. მთელი ანგარიში ამ კრების შესახებ შედგენილია ქუჩური კილოთი და აღვსილი სიყალბითა და მოჭორილი ამბებით. ეს ახალი ნიმუშია იმისა, რომ ბამატის ქართველ თანამშრომლებს არავითარი შემაკავებელი იდეური და ზნეობრივი საფუძვლები არ მოეპოებათ... №.

მემორანდუმი ერთა ლიგას

მიმართვა ერთა ლიგის მგ-18 ყრილ. თავჯ. აღა ხანს (დასასრული)

ვიდრე ვავაგრძელებდეთ, საჭიროა ხაზი გაუსვათ კონსტიტუციის ავტორის ირონიას ეგრედ წოდებულ მოქალაქეთა მიმართ. რა მემკვიდრეობასა და რა შემონახულზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც მკვიდრნი არიან მონები და მოკლებულნი ადამიანურ არსებობის თითქმის ყოველ სახესარს? განა საყოველთაოდ არაა დამტკიცებული, რომ ს. ს. რ. კავშირის მუშის ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე დანმარება, რომელსაც იღებს უმუშევარი დასავლეთში?

მაგრამ ნამდვილი ცინიზმია 17 მუხლი: «ფედერაციაში შემავალ ყოველ ერს აქვს უფლება თავისუფლად გავიდეს ს. ს. რ. კავშირიდან» ამ მუხლის განხილვის დროს საბჭოთა კონგრესზე (1936 წ. დეკ.) ერთმა რუსმა დელეგატმა წინადადება შეიტანა, ეს მუხლი ამოღებული ყოფილიყო. მაგრამ მომხსენებელმა სტალინმა უპასუხა: «ამბობენ, რომ ს. ს. რ. კავშირში არც ერთი რესპუბლიკა არ მოიპოვება, რომ გასვლა უნდოდეს, ამიტომ მგ-17 მუხლს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო. რომ არავინაა გასვლის მოსურნე, ეს უეჭველად ცხადია, ხოლო



აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ჩვენს კონსტიტუციაში არ უნდა შევიტანოთ ფედერაცი- აში შემავალ ერების თავისუფალი გასვლის უფ- ლება».

დიქტატორის ამ ვერაგული განმარტების შემ- დეგ მე-17 მუხლი ერთხმად იქმნა მიღებული, ისე როგორც მე-13 მუხლი, მომელიც ამბობს: «ს. ს. რ. კავშირი არის ფედერაციული სახელმწიფო, რომე- ლიც ემყარება თანაწარუფლებიან საბჭოურ სო- ციალისტურ რესპუბლიკების ნებაყოფლობითს კა- ვშირს». განა შეიძლება საყოველთაოდ ცნობილ ფა- კტების ამაზე მეტი გაყალბება? ვინ არ უწყის, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილ თერთმეტ რესპუბლიკაში ათს ვერაგულად თავს დაესხა წითელი არმია და დაიკავა ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლების შემ- დეგ? მეორეს მხრით მოსკოვის მთავრობას იმის უარყოფა არ შეუძლია, რომ უკრაინა და კავკასიის რესპუბლიკები ცნობილი იყვნენ როგორც მის მი- ერ, აგრედვე სხვა უცხო სახელმწიფოებისაგან. აი მოსკოვის სტერეოტიპული ფორმულა ცნობისა, რომელსაც ვკითხულობთ, მაგალითად, მის მიერ 1920 წ. 7 მაისს საქართველოსთან დადებულ ხელშე- კრულობაში: «ემყარება რა რუსეთის ფედერაციულ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხა- დებულს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რის ძალით ყოველი ერი თვითონა თავის პატრონი და შეუძლია კიდევ გამოეყოს სახელმწიფოს, რომელ- შიაც შედის,—რუსეთი აღიარებს სრულიად საქარ- თველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუ- ვერენობას და სრული ნებაყოფლობით უარს ამ- ბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და საქართვე- ლოს ტერიტორიის მიმართ».

ერთა ლიგამ თავის მომხსენებელის ბ. მაკ-დონა- ნალდის (კანადა) პირით შეაფასა მენუთე საერთო ყრილობაზე ესეთი საქციელი საქართველოს შესა- ხებ «როგორც თითქმის უმაგალითო ქვეყნიერების ისტორიაში».

მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ ამბებს, რომლებიც შემდეგ მოხდა დაკავებულ ქვე- ყნებში. ვგულისხმობთ იმ მედგარ და უდრეკს ბრძო- ლებს, რომელსაც აწარმოებენ დაჩაგრული ერები რუსის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. მთელი ქვეყნიერება და კერძოდ ერთა ლიგის კრებე- ბი მრავალჯერ იყვნენ აღელვებულნი საერთო აჯა- ნყებებით და მათი სისხლში ჩახრახობით—კავკასიასა, თურქისტანსა და უკრაინაში. ათი ათასობით შეეწი- რა მამულიშვილთა სიცოცხლე სამშობლოს განთა- ვისუფლებას უცხო უღლისაგან! იცის ყველამ ისიც, რომ თურქისტანსა და უკრაინაში რამდენიმე მილი- ონი ადამიანი დაიღუპა სიმშობისაგან, რომელიც კოლექტივიზაციას მოჰყვა.

ამის შემდეგ თქმა იმის, რომ ეს ერები თავის ნებით შევიდნენ ს. ს. რ. კავშირში იქნებოდა არ გა- გონილ ურცხვობა, საქმე რომ კრემლის მასპინძ- ლებს არ შეეხებოდა, რომელთათვის ყველაფერია დასაშვები. ამ უამად მათ წინააღმდეგ ამხედრებულნი არიან არა მარტო მამულიშვილები, არამედ მათი


მსახურნი, არა-რუსის კომუნისტებიც. საბჭოთა სა- აგენტო ყოველ დღე ავრცელებს ერთი მეორის უფ- რო სენსაციურ ცნობებს იმ კომუნისტების დეგნის, დახვრეტის და თვითმკვლელობის შესახებ, რომლე- ბიც ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ დაკავებულ ქვეყნების ეგრედ წოდებულ მთავრობათა თავმჯდომარეები ან წევრები. მოსკოვის მთავრობა ახდლიდა აბრა- ლებს მათ ს. ს. რ. კავშირიდან გამოყოფის ცდას.

ეს უნდობლობა მოსკოვის მთავრობისა მის მი- ერვე დაყენებულ პირებისადმი, რომელთაც თავია- ნთი სამშობლო გასწირეს, უეჭველია არის ერთი მი- ზნეთაგანი, რომ ახალმა კონსტიტუციამ სრულიად შეწლუდა ნაციონალურ რესპუბლიკების კომპეტენ- ცია, რომელიც მათ მინიჭებული ჰქონდათ 1924 წ. კონსტიტუციით. იმის ნათელსაყოფად, თუ რა სა- საცილო და ახირებული მდგომარეობაა შექმნილი ამ კომპეტენციის (სახელოს) შემცირებით, საკმაოა გადათვალთვლება სტალინის კონსტიტუციის VI-XI თავებისა. გარეგნულად ამ რესპუბლიკებს ყავთ თა- ვიანთი «უმაღლესი საბჭოები» და «მთავრობები», მაგრამ მთელი ადმინისტრაცია, სსსამართლო, გა- ნათლება და სხ. პირდაპირ ექვემდებარება მოსკო- ვის ხელისუფლებას. თუ მხედველობაში მივიღებთ, თუ რა როლს თამაშობს საბჭოთა ეკონომიკაში კა- ვკასიის ნაფთა და მარგანცი, თურქისტანის ბამბა, უკრაინის ქვანახშირი, რკინა და ხორბლეულობა, ადვილად მივხვდებით, რომ წითელ იმპერიალის- ტებს უნდათ შეინარჩუნონ, რა საშუალებითაც არ უნდა იყოს, მთავარი ბერკეტები მათი ბატონობისა შიგნით და სარეგოლუციო მუშაობისა გარედ.

რომ წარმოადგენა ვიქონიოთ «თავისუფლებათა ქარტიის» ავტორის თავხედობაზე, წავიკითხოთ მე-133 მუხლი: «სამშობლოს დაცვა არის ს. ს. რ. კა- ვშირის ყოველი მოქალაქის წმინდა მოვალეობა». განა სიცივის მსგავსი თავხედობა არაა, მოუწოდონ ჩვენს ერებს იმ უზარმაზარი საპრობოლის დასაცა- ვად, რომელსაც წარმოადგენს ს. ს. რ. კავშირი? ან საბჭოთა მთავრობა დაწმუნებულია, რომ თვით რუსები მოისურვებენ ასეთ საბშობლოს დაცვას? მაშინ რისლა მაქნისია ეს დაუნდობელი ტერორი ყველას და ყოველის წინააღმდეგ?

რაც ზემოდ ითქვა, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ს. ს. რ. კავშირის მდგომარეობა უფრო და უფ- რო ირყევა და არ იქნებოდა დიდი გამბედავობა თქმა იმის, რომ ჩვენ ვიმყოფებით განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბების წინ, ყველამ ახსოვს, რომ 1917 თებერვალში არაფერს ეტყობოდა, რომ რომა- ნოვების თვითმპყრობელობა უნდა დამხობილიყო. რამდენად უფრო კრიტიკულია და გაუფალი მათი მემკვიდრეობის დღევანდელი მდგომარეობა! შეიძ- ლება ვინმემ სთქვას, რომ მეფეების დაღუპვა იყო დიდი ომის შედეგო, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა არ განაცხადეს ამას წი- ნად, რომ განხეთქილება ერებს შორის დღეს უფრო საშიშია, ვიდრე იყო დიდი ომის წინ?

თუ ხშირად იტყვილებენ თავს, რომ ვითომც მოსკოვის მთავრობა თავის ორმაგი სახით მშვიდო- ბიანობის, წესიერების და ერთა სოლიდარობის სა-



ფარი შეიქნება, იმის ეჭვი მაინც ხომ არავის უნდა ჰქონდეს, რომ «მსოფლიოს მეექვსედის» და მისი 170 მილიონი მკვიდრის ამბები დიდს გავლენას მოახდენენ საერთაშორისო ცხოვრებაზე.

კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერების წარმომადგენელი თავიანთ მიმართებებში ერთად იგის სახელზე ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ საერთო მშვიდობიანობა შეუძლებელია, ვიდრე ეს ერები (60 მილიონამდე) აწარმოებენ ბრძოლას თავის დამოუკიდებლობის აღსდგენად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამათ უნდა მიემატონ სხვა დაჩაგრული ერები: ვოლგის, ურალის და ყირიმის თათრობა, ბელორუსები, კარელიელები, ყაზახები და სხ., რომლებიც იბრძვიან განთავისუფლებისთვის და ზემო ჩამოთვლილ ერებთან ერთად შეადგენენ ს.ს.რ. კავშირის მთელი მოსახლეობის ნახევარს.

მართლაც ის ფაქტი, რომ დიქტატორი იძულებული იყო, ს.ს.რ. კავშირის ძირითად კანონში მიენიჭებია ყოველი ერისთვის თვითგამორკვევის და კავშირიდან გამოსვლის უფლება, უდავოდ ააშკარავებს, რომ ამ უმწვავესი საკითხის ამოწმის საერთაშორისო დღიურ წესრიგიდან შეუძლებელია, ვიდრე ის არ გადაიჭრება საბოლოოდ და დამაკმაყოფილებლად.

კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერები ყოველ დღეს, თვით უმძიმესს, ხმარებენ თავიანთ მიზნის მისაღწევად, რომელიც ემყარება სამართლიანობას და უფლებას, და იმედოვნებენ, რომ განათლებული კაცობრიობა არ მოაკლებს მათ თავის თანგრძნობას და კეთილშობილურ დახმარებას.

უკრაინის პოლიტიკური ბედი *)

იმ საერთაშორისო კითხვებს, რომლებმაც მსოფლიო ომის შემდეგ რეალპოლიტიკური გადაჭრა ვერ ჰპოვეს, ეკუთვნის უკრაინის და მთელი უკრაინელი ერის მდგომარეობაც.

1917 წლის რევოლუციამ რუსეთის მეფის ძალაუფლება დასცა. ამავე დროს გამოღვიძებულმა ცალკეულ ხალხთა ეროვნულმა შემეცნებამ, ისარგებლა რა მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობის სისუსტე, გამოიწვია ზოგი არარუს ტომების დასახლებული ნაწილების ჩამოშორება: ფინლიანდიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში და პოლონეთში შეიქმნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებმაც მალე საერთაშორისო ცნობა მოიპოვეს და სასაქირო დახმარება მიიღეს.

მაგრამ უკრაინის ხალხის ნაციონალური ინტერესები მსოფლიოს ერთა ბედიბლობის მაშინდელი ბატონ-პატრონების მიერ განზრახ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. მას, პირიქით, მის მიერ უკვე აღმართული სახელმწიფოებრიობა წაართვეს და მისი ტერიტორია ოთხ სხვადასხვა სახელმწიფოს შორის გაანაწილეს.

უკრაინის უდიდესი ნაწილი ყუბანის ოლქითურთ (დაახლოებით 30 მილიონი მცხოვრებით) იქნა მოს-

კოვის ბოლშევიკების მიერ ძალით დაპყრობილი; მეორე ნაწილი—გალიცია და ვოლინია, დაახლოებით 6 მილიონი მცხოვრებით ხვდა პოლონეთს; მესამე ნაწილი ბუკოვინა, დაახლოებით 1 მილ. მცხოვრებით—რუმინეთს; ხოლო მეოთხე—კარპატების რუსეთი, ნახევარი მილიონი მცხოვრებით—დღეს ჩეხოსლოვაკიის ნაწილს შეადგენს.

ამრიგად უკრაინის ერი, რომელიც მხოლოდ ევროპაში (ე. ი. ჩრდილო-ამერიკის და აღმოსავლეთ აზიის—ციმბირის და მანჯუკუოს—უკრაინული კოლონიების ჩათვლევად) 40 მილიონ სულს ითვისებს და რომელსაც აქ 800.000 კვ. კილომ. სივრცე უჭირავს, რომელსაც ათასწლეუანი, დამოუკიდებლობისთვის გმირული ბრძოლებით აღსავსე, ისტორია აქვს, ერი მაღალი კულტურით და უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით, რაც მის ეკონომიურ აღორძინებას სავსებით უზრუნველყოფს, ვერსაღმისი სავსებით დავიწყებულ იქმნა; მისი უდიდესი ნაწილი მიგდებული დარჩა მესამე ინტერნაციონალის ულუფად, ან და მეზობელ სახელმწიფოების მეორე ხარისხიდან მოქალაქეებად, იმ სახელმწიფოების, რომელიც მცხოვრებთა რიცხვით და ტერიტორიით დღეს ჩამორჩებიან თუნდაც მხოლოდ საბჭოთა უკრაინას, რომელიც 482.000 კვ. კილომეტ. შეიცავს.

ამავე დროს სწორედ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში განსაკუთრებით მკაფიოდ აშკარავდება ის ისტორიული, ეკონომიური და პოლიტიკური საბუძვლები, რომელნიც უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ამართლებენ.

ისტორიიდან ვტყობილობთ, რომ დღევანდელი უკრაინის ძველ მოსახლეობას უკვე მეცხრე საუკუნეში დაუარსებია «კიევის სადიდმთავრო», რომლის მეორე სახელწოდება «რუს» ნორმანელ მეუფეთა გვარეულობის სატომო სახელწოდების «რიურიკ»-ისგან წარმოსდგა. მეათე საუკუნეში კიევიდან დაიწყო ჩრდილოაღმოსავლეთით, ვოლგასა და ოკას შორის მდებარე ადგილების დაპყრა, სადაც ფინთა ტომები ცხოვრობდნენ. აქ თანდათან წარმოსდგნა ცალკეული სამთავროები, რომელნიც კიევის დიდმთავრისგან დამოკიდებული იყვნენ. სახელმწიფო წყობილება, რომლის ცენტრს კიევი წარმოადგენდა, იყო ფედერაციული. თათართა შემოსევის შემდეგ—მე-13 საუკუნის დასაწყისში—სახელმწიფო გაიყო ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთის, რომლისგანაც შემდეგ «მოსკოვის სადიდმთავრო» (ველიკორუსია) წარმოიშვა და სამხრეთ-დასავლეთის, რომელშიაც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა «გალიცია-ვოლინის სამთავრო».

მე-14-ე საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინამ დაპყარვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; მისი ტერიტორია დაპყრობილ იქმნა ლიტვის (ყოფილ კიევის სამთავროს უდიდესი ნაწილი); პოლონეთის (გალიცია) და უნგრეთის (კარპატების რუსეთი) მიერ.

ლიუბლინის უნიის (1569) შემდეგ, რომლის ძალით პოლონეთი, ლიტვა და ყოფილი კიევის სამთავროს ტერიტორიები ერთ სახელმწიფოში—«რენ

*) «ვოლკ. ბეობახტერ» 12 ნომ. 1937 წ.



პოსპოლიტაა—მი—იქნენ შეკავშირებული, დაიწყო დაპყრობილი ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობის გაძლიერებული გაპოლონელება და გაკათოლიკება. უკვე იმ ხანებში ერქვა კიევის სამთავროს სამხრეთს, დნეპრის ირგვლივ მდებარე ნაწილს «უკრაინა», რაცა მაშინ გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ სახელწოდებას წარმოადგენდა ხოლო შემდეგ მთელი ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სახელწოდებად იქცა; განსაკუთრებით მე-16 საუკუნის ბოლოდან, როცა უკრაინის ყაზახთა აჯანყებები მუდმივ მოვლენად იქცა და როცა დნეპრის ქვედა ნაწილს ერთ-ერთ კუნძულზე «ყაზახთა» დამოუკიდებელი რესპუბლიკა «ზაპოროჟსკაია სეჩი» იქნა დაარსებული. ყაზახთა აჯანყებების გამო პოლონეთი იძულებული გახდა, უკრაინის მცხოვრებთათვის განსაკუთრებული თვითმართველობის უფლებები მიეცა, რომელთა ძალით უკრაინის სათავეში იდგა ზაპოროჟიის ყაზახთა ჯარის ჰეტმანი. მიუხედავად ამისა ბრძოლა პოლონეთის წინააღმდეგ გრძელდებოდა. მე-17 საუკუნის შუა წლებში ჰეტმანმა ბოგდან ხმელნიცკიმ გაათავისუფლა უკრაინა პოლონეთთა ბატონობისგან და რადგანაც ის პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას საჭიროებდა, შეერა მოსკოვის მეფე ალექსი მიხეილის ძესთან პეტრიასლავლის ხელშეკრულება (1654). ამ ხელშეკრულების ძალით უკრაინა შეუკავშირდა მოსკოვის სახელმწიფოს, ხოლო შეინარჩუნა დამოუკიდებელი მართველობა ჰეტმანის მეთაურობით, საკუთარი კანონები, საკუთარი ჯარი და აგრედვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამოუკიდებლად წარმოების უფლება.

იმ დამოკიდებულებას, რომელიც ამ ხელშეკრულებამ მოსკოვის მეფესა და უკრაინის ჰეტმანს შორის შექნა, სხვადასხვანაირად აფასებენ: ზოგნი ხედავენ მასში ერთგვარ ფედერაციას; ზოგნი ავტონომიას, ზოგნი კიდევ რეალ-უნიონს, რომელსაც მოსკოვის მართველთა გვარეულობა ასახიერებდა. როგორც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში უკრაინა დარჩა პოლიტიკურად ფართო მასტაბით დამოუკიდებელი როგორც მოსკოვის ისე შემდეგ პეტერბურგის იმპერატორის მთავრობისგან. სახელდობო თითქმის მე-18 საუკუნის ბოლომდის. მაგრამ შემდეგ ხანებში იმავე ხელშეკრულებით დადსტურებული უფლებები უკრაინის და მისი ჰეტმანისათანდათანობით შეკვეცეს, ვიდრე ბოლოს იმპერატორიცა ეკატერინე მეორემ (1784) ჰეტმანობა გააუქმა და «ზაპოროჟსკაია სეჩი» დაშალა. ამ დროდან უკრაინაში შემოიღეს მთელი იმპერიისთვის საერთო სახელმწიფო მართველობა, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის პატრიოტებმა სრული უფლებით პროტესტი განაცხადეს და მიუთითეს, რომ ასეთი ჩომები ეწინააღმდეგება იმ ხელშეკრულებებს, რომელთა დაცვა ხელისუფლების ღირსების საკითხს უნდა შეადგენდეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, უპირველესად უკრაინის ავტონომია იქნა აღდგენილი. შემდეგ კი, როცა ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, უკრაინა სავსებით ჩამოსცილდა

მოსკოვს და 1918 წლის დასაწყისში გამოაცხადა დამოუკიდებელი უკრაინული სახალხო რესპუბლიკა სოციალისტური ცენტრალური რადით სათავეში.

მაგრამ ამ სოციალისტურმა მთავრობამ ვერ შესძლო სახელმწიფოში წესრიგის დამყარება და ეს ფაქტი დაუყენებლივ ისარგებლა ებრაულ-ბოლშევიკურმა პროპაგანდამ. ამის გამო უკვე 1918 წლის გაზაფხულზე რადა გარეკილ იქმნა და მის მაგიერ დაარსდა ისტორიული ტრადიციით გადმოცემული სახელმწიფო წყობილება—ჰეტმანობა. ახალი უკრაინული სახელმწიფო ცნობილ იქნა გერმანიის, ავსტრიის, შვეციის, რუმინეთის, ბულგარეთის და თურქეთის მიერ.

მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის არსებულ შუღლს და ანტანტის იძულებით მომხდარ გერმანული ჯარების ნაადრევ გამოწვევას უკრაინიდან, სადაც ისინი წესრიგისთვის ზრუნავდნენ, მალე მოჰყვა უკრაინის კანონიერი, ჰეტმანის მთავრობის დაცემა, რომლის მაგიერ ხელახლად დაარსდა სოციალისტური მთავრობა უკრაინის დირექტორიისა ატამან პეტლეურას მეთაურობით.

მოსკოვის წითელი არმიის მოსაგერებლად, რომელიც უკვე მოქმედებდა უკრაინის წინააღმდეგ, პეტლეურას შეეველა სპიროდა მოკავშირეები, და მან ხელშეკრულება დასდვა პოლონეთთან. მაგრამ უკრაინის დამოუკიდებლობის დაცვა ამ გზითაც უკვე აღარ იყო შესაძლებელი: რიგის ხელშეკრულების თანახმად (1920) უკრაინის ტერიტორია გაიწილეს საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა.

ასეთია უკრაინის ისტორია, რომელიც მე-9 საუკუნიდან ჩვენს დრომდის ხან დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხან ფართო ავტონომიას სარგებლობდა და ხან კიდევ სავსებით კარგავდა მათ. მაგრამ დღესაც წარმოადგენს ის თუნდაც მხოლოდ სახელით—საბჭოთა კავშირის ფედერაციულ ნაწილს.

უკვე მე-13 საუკუნიდან კიევის და მოსკოვის განვითარების ხაზები სხვადასხვა გზით მიდიოდნენ. მოსკოვის ველიკოროსები შეერინენ სისხლით ფინებს და თათრებს, შეითვისეს ცხოვრების სხვა ნორმები და სხვანაირი კულტურა და იჩენენ მას აქეთ ზოგ დამახასიათებელ თვისებებს, რომელნიც მათ უკრაინელებისაგან მკაფიოდ განასხვავებენ. ეს განსხვავებანი ორ მონათესავე ერთა შორის თავს იჩენს განსაკუთრებით ნათლად ცხოვრების წესებში (ველიკოროსები არიან სათემო მიწათმფლობელების მომხრენი, უკრაინელები კი გარკვეული კერძო მესაკუთრენი) და ენაში (მოსკოვის მეფეთა საგარეო უწყებაში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში შეხვდებით განსაკუთრებულ თარჯიმანებს უკრაინული ენისთვის).

ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლებიც გვიჩვენებენ, რარვ დიდია განსხვავება ველიკოროსებსა და უკრაინელებს შორის. უკრაინაში ბოლო არ უჩანს გლეხთა აჯანყებებს, რომელნიც იმავე დროს ამოწმებენ, რომ უკრაინელთა ეროვნული სული არ გატეხილა და ისინი დაჰინებით მიისწრაფვიან თავი-



ანთი მიზნისკენ, მოსკოვის უღლის გადაგდებისაკენ.

ეკონომიური თვალსაზრისით უკრაინა წარმოადგენდა ძველი რუსეთის იმპერიის მეტად ძვირფას ნაწილს. უწინარეს ყოვლისა: მისი მიწა არაჩვეულებრივ ნაყოფიერია და სოფლის მეურნეობაც ძლიერ განვითარებული. ასე რომ უკრაინას ეწოდებოდა რუსეთის «ხორბლეულობის საკუჭნაო», რომელიც მთელი პურეულის ექსპორტის 77 პროცენტს იძლეოდა, რომ კარაჩის, კვერცხის, ხორცის და მატყლის აურაცხველქარადენობებზე სრულებითაც არ ვილაპარაკოთ. უკრაინის ქვანახშირის მარაგის რაოდენობას აღრიცხავენ 56 მილიარდი ტონით. ქვანახშირის ამოღების მხრივ უკრაინას დედამიწის ყველა ქვეყნებში მეხუთე ადგილი ეჭირა.

უკრაინის რკინის მადნეულობა, რომლის მარაგი მარტო კრივოი როგის რაიონში დაახლოებით 1.200 მილიონ ტონას უდრის, ირიცხება მსოფლიოში საუკეთესოთა შორის. ამას გარდა ომის წინ უკრაინას ეჭირა მარგანეცის წარმოებაში მეორე და მარილის წარმოებაში მეხუთე ადგილი.

ზემო თქმულიდან აშკარაა, რომ უკრაინას, თუმცა ის პირველ რიგში აგრარული ქვეყანაა, საშვალეა აქვს, თავისი არსებობის პირობები უზრუნველყოს, და ამავე დროს წარმოადგენს საერთაშორისო საქონლის ბრუნვისთვის უზარმაზარ ბაზარს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისითაც უკრაინის დროულად გათავისუფლება მოსკოვის კომინტერნის მოძალადური ბატონობისაგან მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ევროპის მთელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, რადგანაც ამით გაადვილდებოდა არა მარტო გამანადგურებელი ბრძოლა კომუნისტური მსოფლიო შავი უირის კერის წინააღმდეგ, არამედ აგრედვე ბრძოლა ეკონომიური კრიზისის წინააღმდეგ, რომლის საგრძნობი ნაწილიც აღმოსავლეთში გაბატონებულ ბოლშევიკურ ქაოსს მიეწერება.

დაბოლოს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უნდა მიექცეს ყურადღება იმ საოცარ მოვლენას, რომ ევროპის «კუმანიტარული დემოკრატიები» საბჭოთა უკრაინის სრულიად არანორმალურ მდგომარეობას სიჩუმით იტანენ. უკრაინას როგორც ძველი ისე ახალი საბჭოთა კონსტიტუციით უფლება აქვს საბჭოთა კავშირს ჩამოსცილდეს. მაგრამ მას პრაქტიკულად არ შეუძლია ეს უფლება ისარგებლოს, წითელი ტერორის მეოხებით, რომლითაც მოსკოვის ბოლშევიკები თავიანთ ბატონობას იცავენ.

მაგრამ ნაციონალური უკრაინის ხმა ჩახრჩობილია არა მარტო ოფიციალურ საბჭოთა პრესაში, რომლის ჩვეულებაა მარტო «ყველა პროლეტართა საყვარელი ბელადისთვის» გუნდრუკის კმევა, არამედ მას სიჩუმით ხვდებიან მსოფლიო ფსევდოდემოკრატიის პრესაშიც, რომელიც სტალინის სისხლიან ბატონობაში, ჯერ კიდევ თავისი ნაქები «დემოკრატიული» სისტემის ერთ-ერთ შესაძლებელ «ვარიაციას» ხედავს.

რუსთაველის დღეები უცხოეთში

რუსთაველის იუბილე ყენევის უნივერსიტეტში

მიუხედავად შაბათისა, რომელიც ძალიან ცუდ დღედ ითვლება ასეთ საზეიმო კრებისათვის, მიუხედავად 16 სხვა კრებისა და საღამოსი (ბალი), რომელთაც ბუნებრივად ბევრი ჩვენი მეგობარი მიიჩნიდეს, 4 დეკემბერს 8 ნახ. საათზე ყენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში დიდძალი ხალხი შეიკრიბა, სადაც მოუწოდებდნენ ქუჩებში მრავლად გაკრული აფიშები და ყველა გახეთები შოთა რუსთაველის 750 წ. თავის სადღესასწაულოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტისა, რომელიც ამ საღამოს მომწყობი იყო, ერთა ლიგის დამხმარე ყენევის ასოციაციამ ცალკე მოწოდება გამოსცა ამის შესახებ, რათა მიექცია თავისი წევრების ყურადღება.

ზეიმს დაეწყო ყენევის საუკეთესო საზოგადოება, ინტერნაციონალური ისე, როგორც ადგილობრივ წრეებიდან: სხვათა შორის ყენევის მთავრობის წევრი ბ. ბალმერი, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალური უნიონის გენერალური მდივანი პროფესორი რუისენი, მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს გენერალური მდივანი ბ. გოლე, ცნობილი ფრანგი ექიმი ვებერ-ბოლე, წევრების პოლონეთის დელეგაციის ერთა ლიგაში და იტალიის საკონსულოსი. იყვენ აგრედვე ფრანგების, ინგლისელების, გერმანელების, რუსების, უკრაინელების, სომხების, იაპონელების და სხ. წარმომადგენლები.

ზეიმის პროგრამა შეიცავდა: საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ მალშის სიტყვას, ცნობილ პროფესორ ვილიამ რაპარის, როგორც რექტორის უნივერსიტეტის სახელით მოსასალმებელ სიტყვას, ხარიტონ შავიშვილის ლექციას რუსთაველსა და მის შემოქმედებაზე, ყენეველ გამომჩინელ პოეტ პიაშოს რუსთაველიდან თავის სანიმუშო თარგმანის დეკლამაციას და ჟან მარტენის განმარტებებს ეკრანზე ნაჩვენებ სურათებისას.

დღესასწაული გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ალბ. მალშმა, რომელმაც მარტივ, სოლო მხურვალე სიტყვებით აღნიშნა, თუ რატომ უერთდება ყენევა შ. რუსთაველის პატივისცემას, იმ რუსთაველისა, რომელიც საუკეთესოდ გამოხსავს ქართველის სულს. «შევიცარია და ყენევა—ეს წითელი ჯვრის ქალაქი—სთქვა მან: გულგრილად ვერ შეხვდებიან იმ პატარა ქვეყნის ბედს, რომელიც ყოველნაირად წააგავს მას და რომელსაც აქვს ძველი და შესანიშნავი ცივილიზაცია».

ბ-მა ვ. რაპარმა, რექტორმა ლამაზ სიტყვაში ყენევის უნივერსიტეტის სალაში და თანაგრძნობა მიუძღვნა ქართველ ერს.

ხარიტონ შავიშვილმა, რომელსაც კრება ხანგრძლივი ტაშისცემით შეხვდა, გააცნო თავის ლექციამო კრებას «ვეფხისტყაოსანი» და მისი დიდებული ავტორი, დანატა ცოცხალი რუსათი საქართვე-



ლოს აყვავების ხანისა, აუხსნა აუდიტორიას მიზეზები იმისა, თუ რატომ აქამდე ევროპის ფართო საზოგადოება არ იცნობდა გენიალურ პოეტს რუსთაველს. მან თავისი ლექცია შემდეგი სიტყვებით გაათავა: «ქეშმარიტად, რუსთაველის დიდების აკვანი საქართველოა. მაგრამ ჩვენი პოეტის დამსახურებული დაფასება, მისი სრული იუბილე მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც კაცობრიობა, გათავისუფლებულ საქართველოსთან ერთად, ქართველი ტრუბადურის იდეალს—მსოფლიოს ჰარმონიას—განახორციელებს». ამ სიტყვებზე ლექტორს კრებამ ოვაცია გაუშარტა.

პოეტმა პიაშომ ტარიელის ამბავი დიდის გრძობიერებით წაიკითხა და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. დაბოლოს უნდოდა მარტენმა აჩვენა და ჩვეულებრივი მოხდენილობით განმარტა საქართველოს სიდიადის ნაშთები რუსთაველის ეპოქიდან, ისტორიული და მხატვრული. ქეშმარიტად, დიადი, ბრწყინვალე ზეიმი იყო რუსთაველის იუბილე. სადაც უცხოელებმა დიდის აღტაცებით გაიგეს, თუ «რა ვიყავით ჩვენ». ეს ზეიმი არის არამარტო დიდი თარიღი ქართულ კულტურისა, არამედ ის აგრედე დიდ მოვლენად არის შეტანილი ქენევის ინტერნაციონალურ ცხოვრებაშიაც.

პოეტის გეგმა

3 და 11 დეკემბერს დიდი ზეიმით იქნა გადახდილი ვარშავაში რუსთაველის 750 წ. დღესასწაული. ანგარიშს დაგებულად შემდეგ ნუმერში.

საფრანგეთში

პარიზში რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართება ორი დღესასწაული: უცხოელებისთვის მოეწყობა 25 თებერვალს სორბონის უნივ. დიდ დარბაზში უნივერსიტეტის ყ. რექტორის მარლეტის თავმჯდომარეობით და ცნობილ უცხოელ ლიტერატ. ძალებს მონაწილეობით. ხოლო ქართული საღამო გაიმართება იანვრის დამლევს, რომელზედაც მოხსენებებით გამოვლენ რ. არსენიძე, გ. გვახავა, ა. მანველიშვილი და ს. ფირცხალავა.

დიდი ქართველი პოეტი შ. რუსთაველი

(წერილი ე. მარტენისა, ჟურნ. «დგ ქენ.» 1 დგვ.)

დიდი ადამიანების ასი წლის თავს დღესასწაულობენ; ზოგიერთს მათგან კიდევ ასი წლის შემდეგ მოიგონებენ, მერმე უმეტესობას ივიწყებენ. ძალიან იშვიათია, რომ ვისიმე დაბადების თუ სიკვდილის 750 წელი გაიხსენონ!

ჩვენ ვიმყოფებით მე-12 საუკ. ბოლოს. თითქმის ათასი წელია, რაც სახელოვანი ერი ქრისტიანობას ეხიარა. ერი მთიელთა, ერი გლეხთა, ერი ხელოვანთა, ერი გონიერთა თითქმის განუწყვეტლივ ებრძოდა შემოსეულ მტრებს.

მაგრამ აყვავების და დიდების უამრავ დაპყრობისთვის. მისმა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა მოახერხა მთელი ერის გაერთიანება და საქართველოს სახელს პატივითა და აღტაცებით წარმოსთ-

ქვამენ დასავლეთსა და აღმოსავლეთში. მერმე თამარ მეფე, ისიც ბრწყინვალე. მთელი ქვეყანა ეკლესიებით მოეფინა. დიადი ფრესკები, სადა მხატვრული მოხაიკები ამშვენებენ მონასტრებს. მინანქარი, ოქრო და ძვირფასი ქვები ამკობენ ხატებს. საქართველოს ელჩები რომში იმყოფებიან, ქართველი მეომრები ჯვაროსანთა ომებში იბრძვიან, ფილოსოფოსები და პოეტები სწავლას ბიზანტიაში ამთავრებენ.

თვითონ რუსთაველიც დაეწაფება ქეშმარიტი კულტურის ღვთიურ წყაროს: საბერძნეთში ეძებს სიმშვენიერის და ჰარმონიის საიდუმლოებას.

იგი იყო დიდი პოეტი, ერთი უდიდეს პოეტადგანი. დიდმა კრიტიკოსებმა იციან ეს და დაუბრუნებლად ადარებენ მას დანტეს, შექსპირს, გოეტეს. ვაგლას! როგორ უნდა ვიგეგმოთ მისი ეპიური პოემის «ვეფხისტყაოსნის» წარმტაცობა? საქართველოს ხმოვანი ენა ნაკლებადაა ნაცნობი და ფრანგული თარგმანი აქამდის არ არსებობს: უნდა წაიკითხოთ რუსულად, გერმანულად ან ინგლისურად.

შაბათს საღამოს ქენევის უნივერსიტეტის დარბაზში ჩვენი პოეტი რენე-ლუი პიაშო წაიკითხავს თავის თარგმანის რამდენიმე ნაწყვეტს, რომელიც ინგლისურიდან გადმოიღო და მშენებელ შეეძლება, იგემონ სინაზე და იმავე დროს სიძლიერე საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნებისა, სიმშვენიერე და კეთილშობილება გრძობებისა, რომლებიც ასულდგმულებს პოეტს, ქალის პატივისცემა (ნაციონალური თვისებაა ეს ქართველი ერის დღემდის), ფილოსოფიური სიბრძნე მისი სიტყვებისა.

მთელი ეპოსის სიგრძეზე უბედური რაინდი და ეძებს თავის დანიშნულს, რომელიც მას მოსტაცეს. შვიდი საუკუნე და სახეგარი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსთაველმა თავისი ნაწარმოები მიართვა სათაყვანებელ მეფეს თამარს, და დღეს უცხოებაში მყოფი ქართველი დაეძებს ყველგან თავის დანიშნულს, თავის სამშობლოს, რომელიც მას მოსტაცეს. და იცის, რომ ერთს დღეს დაიხსნის მას ისე, როგორც რუსთაველის გმირმა დაიხსნა თავისი სატრფო.

საქართველოს ამბავი

(გაზეთებიდან)

9 დეკემბერს ტფილისის ოპერის თეატრში შესდგა მშრომელ ინტელიგენციის კრება, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ჯალათმა ბერიამ, და სხვათა შორის, განაცხადა:

«ქართველი ხალხის საზიზღარი მოლაპატეები ნ. ჟორდანიას, ი. წერეთელი, ე. გეგუქკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.



მიჰყიდნენ რა ხალხზე თავს განუტყველად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს სახიზლარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

1924 წელს მათ შესძლეს ქართველი ინტელიგენციის ერთგვარი ნაწილისათვის, განადგურებული თავდაუნაურობისა, კულაკობისა და ოფიცრობის ნარჩენებთან ერთად, მონაწილეობა მიეღებინებინათ სისხლიან ავანტიურაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მის დამწყებთა სრული განადგურებით დასრულდა.

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები. მაგრამ ხალხის სახიზლარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომხრელი მუშაობა, ცდილობენ რა თავისი აგენტების საშუალებით თავიანთ მოლაპატურ ბადეში მოაქციონ ზოგიერთნი ქართველი ინტელიგენციიდან, რომლის ძირითადი მასაც უკვე დაედა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ფაშისტური ოზრანკების აგენტები, მოლაპატრეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები გელიავა, გრ. წერეთელი, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ცნობილი მწერლები გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით თევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ.

ისინი ეწეოდნენ ძირგამომხრელ დივერსიულ-მაგნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომხრელ მუშაობაში ისინი არ თავილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამლვას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა ფსკერზე მოექცნენ?

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, განადგურეს და მოსპეს (ხანგრძლივი ტაში). მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ.

ასეთივე ბედი მოელოს ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას (ხანგრძლივი ტაში).»

— 5 დეკ. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს გ. ყ. მახარაშვილს, ვ. თ. ბასილიას, მ. ს. კუტუბიძეს, მ. დ. კორძახიას, მ. ა. კაგარლიცკის, ბ. პ. შენგელიას და კ. ვ. შანიძეს.

— ქუთაისში გარდაიცვალა კომპოზიტორი მელ. ბალანჩივაძე.

— რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით რუსულ ენაზე გამოცემული იქნება «ვეფხისტყაოსნის» რამდენიმე თარგმანი: ბალმონტის, პეტრენკოს, ცაგარელის და სხ.—სკოლებისთვის ცალკე გამოვა შემოკლებული შინაარსი.

— ვარძიაში უკვე გაწმინდეს ასამდე გამოქვაბული. აღმოაჩინეს 26 მარანი ქვევრებით. ერთ ქვევრში, რომლის სარქველი მაგრად იყო დაკირული, ნახეს თეთრი ღვინის ფერი მწარ-მყავე სითხე.

— გათხრილ იქმნა ძირითადი ნაწილები გეგუთის (ქუთაისის მახლობლად) «ციხე დარბაზის» შენობისა, რომელიც წარმოადგენდა მე-12 საუკ. სამეფო ოჯახის რეზიდენციას ნადირობის დროს აჯამეთის ტყეში.

— დამთავრდა «გ. ტყაოსნის» თარგმანი ანერბაიჯანულ ენაზე და გადაეცა სტამბას დასაბეჭდად.

— უახლოეს დროში გამოვა ივ. ჯავახიშვილის «ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები». წიგნში განხილული ქართული საკრავები უძველეს დროიდან მე-19 საუკუნემდე. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. გუდიაშვილს.

— გამოვა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე «ქართული ხალხური სიმღერების» 800 გვ. კრებული.

— ახალციხეში დაიდგმება შოთა რუსთაველის ძეგლი.

— მზადდება გამოსაცემად კრებული, რომელიც გაშუქებული იქნება რუსთაველის ეპოქის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ხიდები, არხები, წყალსადენები და სხ.

ქართველები საზრახვითში

გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის (ასთმა) შემდეგ და ლევილში დაასაფლავეს 26 დეკემბ. რუბენ აუშტროვი, ყოფ. წევრი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის.

— სტ. კასრაძემ დასწერა რომანი «ფერეულის ოჯახი», 1921 თებერვალ-აპრილის დროიდან. რომანი ცალკე წიგნად გამოვა.

მცვდომის გასწორება

განსვენებულ ა. ჩიკვაძის დაკრძალვის ანგარიშში შემთხვევით გამოტოვებულია ბ. ჯანელიძის შემოწირული ოცი ფრანკი.

დამოუკიდებელი საქართველოს 1927 წ. სარეზი

I. მეთაურები:

შვეიცარიის პრეზიდენტის მოტას იუ-ბილე 131. კიდევ სომეხ-ქართველთა უნიონზე 131. ანტიკომინტერნი და საბჭოთა ერები 132. შავი ზღვის ჩაგრული ერები 133. დაშნაკუტუნი და კავკასია 134. დამოუკიდებლობის წლისთავი 135. დასასრულის კარზე 136. დახვრეტები ტფილისში 137. სტალინი ბონაპარტი 138. მსოფლიო ომის საშიშროება 139. ჩაგრულ ერების ერთი ფრონტი 140. «კავკაზი» კავკასიელების წინამძღვე 140. სიმონ მდივანი 141.

II. წერილები:

პრიმე ბ. მხიარული და მაძლარი ცხოვრება 131. რისხვის ახალი ტალღები 138.

გუნია ვ. 26 მაისი 135. მოწოდება 138.

დარბაისელი. სტალინის ახალი კონსტიტუცია 131. ნავსი გატყდა 134, 136 და 137. პოლშევიზმის აგონია 138. მშვიდობიანობის კონგრესი 139.

ინგილო რ. იტალია-თურქეთის დაახლოვება 132. საიმპერიო სვლანი 134. ქართული კულტურული მუშაობა ნეაპ. ინსტიტ. 140.

ყ. ბერლინი და მოსკოვი 131, 132, 135, 139.

ლემთათიმე გ. მასარიკის გარდაცვალება 139.

ნაუმი. წერილები ამერიკიდან 132, 135, 136, 137, 139, 140.

ნუნუბიძე ი. გლოვის დღე 132. საბედისწერო გზით 133. კავკასია და რუსული იმპერიალიზმი 134. გორდიუსის კვანძი 138. აწყვეტილი ძალები 140. ისტორიული დღე 141.

ქორდანია ნ. ვეფხის ტყაოსნის საკითხები 132, 133 და 135.

ხანმანი. დაშნაკელები და კავკასია 137. ისტორიული თარიღი 138.

შავიშვილი ხ. ნამდვილი დემოკრატია 131. საქართველოს მეგობრები 134.

ფირცხალავა ხ. ნინობა ბერლინში 132. თ. პაპავას წიგნი (ბიბლ.) 140.

ურუშაძე ნ. პარიზის გამოფენა 137.

X. რუსთაველის იუბილე 137. ჯალათის ჯამბაზობა 139.

III. საქართველოს საკითხის გარშემო:

პოლონური პრესა 134. მოხსენება საქართველოზე პრალაში 135. გერმანული პრესა საქართველოზე 138. ბრატისლავას კონგრესი 139. საჭირო განმარტება 141. სიყალბეთა გასწორებისათვის 141.

IV. კავკასია:

რას სწერენ სომხური გაზეთები 133, 134, 135, 137, 138. პოლონური პრესა 133, 134. ერთა ლიგა და ჩაგრული ერები 134. კავკასიის ხალხებს 135. სლავინსკის მოხსენება 135. კავკასიის ერთობა და აზერბაიჯანი 136. ბერლინის ამბები 136. კავკასიის დღესასწაული 136. შენევა და საბჭოთა დემოკრატია 139. ბრიკეს მოხსენება ბერლინში 139. მემორანდუმი ერთა ლიგას 140, 141. მოსკოვი ებრძვის საბჭოთა ერებს 140. პრესა 140.

V. კორესპონდენციები:

ხარბინიდან 132. შენევაში 133. წერილები საქართველოდან 135, 136. სომოს ქართველთა კალონია 136.

VI. ქართველები უცხოეთში:

ქართველები საფრანგეთში 132, 133. ქართველები ამერიკაში 132. გიორგი წერეთლის ხსოვნის აღნიშვნა 133. 26 მაისი პარიზში 136. 26 მაისი მონპელიეში 136. 26 მაისი პრალაში 136. სამოქალაქო პანაშვიდი ლევილიში 137. რუსთაველის დღესასწაული შენევაში 140. ქართველი შევარდენი პარიზში 140. ქართველები საბერძნეთში 141. რუსთაველის დღეები უცხოეთში 141.

VII. საქართველოს ამბები:

საქარ. ამბები 133, 134, 135, 136, 137, 139 და 141. ბოლშევიკების მიღწევები 137. დახვრეტები ტფილისში 137. საქართველოში 138. რუსთაველის ვინაობა 139.

VIII. უცხოეთი:

უცხოეთის მიმოხილვა 131, 135, 138. გერმან. პრესა უარპყოფს საბჭოებთან დაახლოვებას 135. ეგვიპტე ერთა ლიგაში 136. ადამიანის უფლებათა ლიგის კონგრესი 137. იაპონიის მოქმედების მიზნები ჩინეთში 140. უკრაინის ბედი 141.

IX. ნეკროლოგები:

ი. დადიანი 134. სამგლოვიარო ფურცელი 134, 139. პანაშვიდები 136. ჩერმოევი 139. კარმანიოლა 146. ს. მდივნის გარდაცვალება 141.

X. ბიბლიოგრაფია:

ს. ციციშვილის ისტორიული რუკა 131. ქავთარაძის «ნა პუტინას კ. კონფედ. კავკაზა» 132. მანჭკავას «ქართ. აზროვნების განვითარება» 136.

XI. სხვადასხვა:

მოსკოვის პროცესი 131. ლტოლვილთა ჯარში გაწვევა 131. რუსთაველიანა 132. წერილ. რედაქციის მიმართ 132, 134, 139, 140, 141. ანგარიშები 137, 139. ვინ არიან ხევსურები 138. მუხის თაყვანისცემა ბასკებში 138.